1949

F 1093

ᲣᲤᲐᲡᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐᲗᲐ
ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

№ 2—3	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1949 Წ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲒᲕ.

1. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 188—ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲤᲮᲕᲠᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 2
2. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 366—ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 7
3. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 339—ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ-ᲩᲕᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 12
4. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ—„ᲜᲝᲠᲩ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲡ“ . . 14
5. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲩ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ . . . 17
6. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 420—ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ . 24
7. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 246—ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 30
8. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 245—ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 36
9. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 253—ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 38
10. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 409—ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 41
11. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 245—ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 44
12. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 413 ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 49

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 188

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 9 თებერვალი.

საზოგადოებრივ და სხვა არასასწავლო მუშაობით მოსწავლეთა გადატვირთვის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ.

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ ზოგიერთ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა საზოგადოებრივი და სხვა არასასწავლო მუშაობა—მრავალ სკოლაში სხვადასხვა სახის მასობრივ ღონისძიებებში მოსწავლეთა ჩაბმა გეგმიანად არ წარმოებს და მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადატვირთულია ხშირად ისეთი დავალებებით, რომელთაც არავითარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა არა აქვთ.

ბევრ სკოლაში ერთი და იგივე მოსწავლე ჩაბმულია სკოლის ან სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების რამდენიმე წრეში, ამასთან ასრულებს რამდენიმე საზოგადოებრივ დავალებას, რაც ტვირთავს მას და უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ასე, მაგალითად, ზესტაფონის ქალთა საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ლ. ლეჟავა ალკკ ორგანიზაციის მდივნის მოადგილეა, კლასში ატარებს აგიტაციას კვირაში ორჯერ, მონაწილეობას იღებს სკოლის მიერ მოწყობილ შაბათობებში, სწავლობს სპორტსკოლაში, ამასთან იგი ოთხი სხვადასხვა საგნობრივი წრის წევრია; კაჭრეთის რაიონის არაშენდის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ნადია ჩივიაშვილი 4 წრეში მუშაობს, ამასთან იგი პიონერ რაზმის ხელმძღვანელიც არის, ძალზე გადატვირთვის გამო ვეღარ სწავლობს,—პირველ და მეორე მეოთხედის მანძილზე სხვადასხვა საგნებში მას მიღებული აქვს 15 ორი; თიანეთის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეს ვალენტინა ნეროდენკოს, რომელიც 5 საგნობრივ წრეშია გაერთიანებული, სასწავლო წლის მეორე მეოთხედში ქართული ენისა და ლიტერატურის წრეში წაუკითხავს მოხსენება: „ბუნება ვაჟა-ფშაველას

შემოქმედებაში“, ფიზიკა-მათემატიკის წრეში—„ფარადეის ცხოვრება და მოღვაწეობა“, რუსული ენისა და ლიტერატურის წრეში—„კაცი ფუტლიარში“, ისტორიის წრეში კი მას დავალებულიაქვს რეფერატის მომზადება თემაზე: „1812 წლის სამამულო ომი“, ამავე დროს აღნიშნული მოსწავლე მომღერალთა გუნდის წევრია.

კომკავშირის ზოგიერთი რაიკომი და ქალაქკომი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კატეგორიული მითითების მიუხედავად, სასწავლო საათებში იბარებს მოსწავლეებს ბიუროს სხდომებზე დასასწრებლად, კომკავშირში მისაღებად და თათბირებსა და სემინარებში მონაწილეობისათვის.

არის შემთხვევები სასკოლო რეჟიმის უხეშად დარღვევისა. ასე, მაგალითად, თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები, ახალი წლის შეხვედრის მზადებასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორის განკარგულებით, გაკვეთილებიდან გაათავისუფლეს ცეკვის რეპეტიციაზე დასასწრებლად; თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლეები რამდენიმეჯერ იქნენ მოხსნილნი გაკვეთილებიდან საზოგადოება „ტყის მეგობრის“ დასახმარებლად—მცენარეთა თესლის შესაგროვებლად; ზესტაფონის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები რამდენიმეჯერ იქნენ გაყვანილნი კოლმეურნეობაში სოიოს საკრეფად;ასევე ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ნაკიანის საშუალო სკოლის და აგრეთვე ამავე რაიონის ზოგიერთი სხვა სკოლის მოსწავლეები მეცადინეობის საათებში სამ დღეს ზედიზედ გაყვანილნი იქნენ ჩაის საკრეფად. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მახარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონების ზოგიერთ სკოლაში.

ხშირად სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი საზოგადოებები და აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადგილობრივი კომიტეტები თავიანთ ღონისძიებებს (შეჯიბრებები, სპარტაკიადები, ვარჯიშობანი) აწყობენ სკოლის დირექციასთან შეუთანხმებლად, ზედმეტად ტვირთავენ ბავშვებს და ხელს უშლიან მათ სასწავლო მუშაობაში. მოსწავლეების გადატვირთვა საზოგადოებრივ და სხვა არასასწავლო მუშაობით იწვევს მოსწავლეთა მოსწრების დაქვეითებას, ხელს უშლის ბავშვთა კულტურულ გართობასა და ნორმალურ დასვენებას, ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას.

მოსწავლეთა გადატვირთვა საზოგადოებრივი და სხვა არასასწავლო მუშაობით, უმთავრესად იმის შედეგია, რომ სკოლის დირექტორები (გამგეები) საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორად ორგანიზებას, არ გააჩნი-

ათ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ერთიანი გეგმა, არ ეხმარებიან კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციებს სწორად დაგეგმონ მუშაობა და შეუფარდონ იგი მოწაფეთა ასაკობრივ თავისებურებებს.

ამასთან, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება და რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებები სუსტად უწევენ კონტროლს სკოლებს მოსწავლეთა საზოგადოებრივ და სხვა არასასწავლო მუშაობის მოწესრიგების მიმართულებით და არ ღებულობენ ზომებს ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ ყველა დაწყებითი, რვაწლიან და საშუალო სკოლაში დაწესებული იქნეს მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციებისა და წრეების მუშაობის შემდეგი რეგლამენტი:

ა) სკოლის საგნობრივი, ტექნიკური, მხატვრული და სასპორტო წრეების კრებები შეიძლება ტარდებოდეს არაუმეტეს ორისა თვეში, ორ-ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით;

ბ) მოსწავლეთა საკლასო კრებები შეიძლება იწვეოდეს არა უმეტეს ერთისა ორ კვირაში, 30 წუთიდან 1 საათამდე ხანგრძლივობით, ხოლო მოწაფეთა საერთო კრებები—მეოთხედში მხოლოდ ერთხელ, საათნახევარი-ორი საათის ხანგრძლივობით;

გ) კომკავშირული კრებებისა და პიონერთა შეკრებების ჩატარება წარმოებდეს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სათანადო მითითებათა შესაბამისად;

დ) ყოველგვარი მასობრივი ღონისძიება (მხატვრული საღამოები, შეჯიბრებები), კრებები, წრეების მუშაობა და სხვ. სკოლაში მთავრდებოდეს არა უგვიანეს საღამოს ცხრა საათისა.

2. ამასთანავე, დაწესებული იქნეს, რომ:

ა) ყოველ მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი დავალება და, თუ ყველა საგანში ასწრებს, მიეცეს უფლება იმუშაოს თვით სკოლაში ან სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებაში ერთ ან ორ წრეში, რომელთაგან ერთი უნდა იყოს საგნობრივი ან ტექნიკური, ხოლო მეორე მხატვრული ან სასპორტო;

ბ) ყოველგვარ საზოგადოებრივ, ან სხვა არასასწავლო მუშაობას, მათ შორის კრებებსა და შეკრებებს, მე-5—8 კლასის მოსწავლემ შეიძლება მოახმაროს სულ არა უმეტეს 3—4 საათისა, ხოლო მე-9—11 კლასის მოსწავლემ—არაუმეტეს 4—5 საათისა კვირაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სკოლის ან სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების საგნობრივ, ტექნიკურ, მხატვრულ და სასპორტო წრეში მხოლოდ იმ მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ, რომლებსაც ყველა საგანში დამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ;

დ) სასკოლო, რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებანი ტარდებოდეს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წლიური ცხრილის საფუძველზე (ცხრილი 1949 წლისათვის თან ერთვის);

ე) განემარტოს სკოლის დირექტორებს (გამგეებს), რომ მასობრივ-მხატვრულ-ფიზკულტურულ ღონისძიებებში (შეჯიბრებები, ოლიმპიადები, კროსები და სხვ.) და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ-სამუშაოებში (სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობა, შაბათობები და სხვ.) ჩაბმის გამო მოსწავლეთა მოცდენა მეცადინეობისაგან მათ ჩაეთვლებათ სასწავლო მეცადინეობის ჩაშლად და ისინი მკაცრად იქნებიან დასჯილნი;

3. მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების, კრებებისა და წრეების მუშაობა წარმოებდეს ერთიანი გეგმისა და ცხრილის საფუძველზე. გეგმა და ცხრილი დგებოდეს სკოლის დირექტორის მიერ მეოთხედების მიხედვით, ყოველი მეოთხედის დასაწყისში.

4. სკოლის დირექტორებმა, კლასის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა აქტიური დახმარება გაუწიონ სკოლის კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს მოსწავლეთა შორის კლასგარეშე მუშაობაში და უზრუნველჰყონ ამ მუშაობის სწორად წარმართვა.

5. დაევალოს სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა რაიონული სადგურების, სპორტსკოლების) დირექტორებს:

ა) წრეების, ლაბორატორიებისა და კაბინეტების მუშაობაში მხოლოდ ის მოსწავლენი ჩარიცხონ, რომლებიც ყველა საგანში ასწრებენ და ამის შესახებ სკოლიდან სათანადო ცნობა აქვთ;

ბ) ყოველი მეოთხედის ბოლოს შეამოწმონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატება სკოლაში და აკადემიურად ჩამორჩენილნი გაათავისუფლონ მუშაობისაგან;

გ) მტკიცე კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა მუშაობაზე, ზუსტად დაიცვან დაწესებული რეჟიმი და არ დაუშვან მოსწავლეთა ადრე გამოცხადება ან უსაქმოდ ყოფნა მეცადინეობის შემდეგ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს ა/წ 30 მარტამდე დაამუშაოს მეცნიერულად დასა-

ბუთებული, მოსწავლეთა სანიმუშო დღის რეჟიმი და მეთოდური მითითებანი საზოგადოებრივ და სხვა არასასწავლო სამუშაოთა ორგანიზაციის შესახებ სკოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. განათლების განყოფილებებმა სკოლების მუშაობის შემოწმებისას საგანგებო ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა დატვირთვის საქმის შესწავლას და გადამწყვეტი ზომები მიიღონ, რათა ეს ბრძანება ზუსტად ხორციელდებოდეს.

8. განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ საინსტრუქციო-შემოწმებით მუშაობაში სათანადო ადგილი დაუთმოს მოსწავლეთა დატვირთვის დარგში არსებული მდგომარეობის შესწავლას და ამის საფუძველზე საჭირო ღონისძიებანი გაატაროს არსებული ნაკლის გამოსასწორებლად.

* * *

განემარტოთ სკოლის დირექტორებს (გამგეებს), რომ მოსწავლეთა არასასწავლო მუშაობის მოწესრიგების ამ ღონისძიებებმა ოდნავათაც არ უნდა შეაფერხოს მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, არამედ, იმ სახით უნდა გაიშალოს, რომ იგი ნამდვილად ხელს უწყობდეს სწავლა-აღზრდის საერთო დონის გაუმჯობესებას, კერძოდ, ცალკეული მოსწავლის ნიჭისა და ინტერესის გაღრმავება-განვითარებას და კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ და აქტიურ მშენებელთა აღზრდას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 366

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 1 მარტი

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ

ადგილებზე ჩატარებული შემოწმებით და განათლების სამინისტროში წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგად აღვნიშნავ, რომ მთელ რიგ რაიონებში—ხაშურის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, ქ. ქუთაისისა და ქ. ფოთის და სხვა რაიონებსა და ქალაქებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმე დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ლანჩხუთის რაიონში სკოლებს გეგმით 1948—1949 სასწავლო წლისათვის უნდა ჩაება 8443 მოსწავლე, გეგმა მთლიანად არის შესრულებული, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში უმიზეზოდ სკოლას არც ერთი ბავშვი არ ჩამოცილებია. ქ. ფოთის სკოლებში გეგმით გათვალისწინებული 6067 მოსწავლე მთლიანად იქნა ჩაბმული სკოლებში და სკოლიდან უმიზეზოდ ჩამოშორების არცერთი შემთხვევა არ ყოფილა. მსგავსი მდგომარეობაა სხვა დასახელებულ რაიონსა და ქალაქებში.

მიუხედავად ამისა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმე მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ზოგ სკოლის დირექტორი და მასწავლებლები საჭირო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა, მათი სკოლაში ჩაბმისა და სკოლაში ჩაბმულ კონტინგენტის წლის ბოლომდე შენარჩუნების საქმეს, რის შედეგად რიგ სკოლებიდან მრავალი მოსწავლე ჩამოშორდა სკოლას. მაგალითად, 1948—49 სასწავლო წლის პირველ ნახევარში თეთრიწყაროს რაიონის სამშვილდეს რვაწლიან სკოლიდან გავიდა 87 მოსწავლე, თონეთის რვაწლიან სკოლიდან 94, ახკალაფის რვაწლიან სკოლიდან 49, დმანისის რვაწლიან სკოლიდან 63; კაჭრეთის რაიონის ლამბალოს რვაწლიან სკოლიდან განთესილია 25 მოსწავ-

ლე, მუღანლოს დაწყებით სკოლიდან 15 მოსწავლე; თბილისის რაიონის ავჭალის რუსულ რვაწლიან სკოლიდან—18 მოსწავლე, ნორიოს საშუალო სკოლიდან—11 მოსწავლე; თიანეთის რაიონის საყარაულის რვაწლიან სკოლიდან—9 მოსწავლე; სიღნაღის რაიონის წნორის საშუალო სკოლიდან—22 მოსწავლე, ტიბაანის საშუალო სკოლიდან—15 მოსწავლე.

აღნიშნულ სკოლებში არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა მოძრაობის ზუსტი აღრიცხვა და არ სრულდება „7-დან 17 წლის ასაკამდე ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისარ-თა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქცია.

ტიბაანის, წნორის, ნორიოს, ლამბალოს და ავჭალის რუსული რვაწლიან სკოლების დირექტორებს არ გააჩნიათ ცნობები მათი სკოლებიდან გასული მოსწავლეების შესახებ. დირექტორების მხრივ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისადმი ფორმალურ დამოკიდებულების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ ისინი კმაყოფილდებიან საეჭვო ცნობებით მოსწავლეთა „ავადმყოფობის“ შესახებ, არ ამოწმებენ ამ მოსწავლეების ჯანმრთელობას ოჯახში მისვლით და ასეთ მოსწავლეების სკოლებიდან ჩამოშორებას თვლიან საპატიოდ, როცა ეს მოსწავლეები ნამდვილად ჯანმრთელად არიან და სასოფლო-სამეურნეო მუშაობას ეწევიან.

წნორის საშუალო სკოლაში, ექიმის მოწმობის საფუძველზე, სკოლიდან განთესილია 7 მოსწავლე, კაჭრეთის რაიონის ჯიმითის საშუალო სკოლიდან 10 მოსწავლე ჩამოშორდა სკოლას იმის გამო, რომ ექიმის ცნობით „ესაჭიროებათ ხანგრძლივი დასვენება“.

სიღნაღის ვაჟთა საშუალო სკოლიდან გასულია 9 მოსწავლე; სკოლის შემოწმების დღეს რამდენიმე საათის შემდეგ სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სკოლის ექიმის ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ბავშვებს ესაჭიროება ხანგრძლივი დასვენება, ბრონქიალური ჯირყვლების გადიდების გამო. გამოირკვა, რომ ეს მოსწავლეები კარგად არიან.

ცხაკაიას ქალთა პირველი საშუალო სკოლის ექიმის ცნობის საფუძველზე სკოლიდან გასულია 8 მოსწავლე. ერთი მოსწავლის ცნობა გაცემულია ერთი წლის წინად.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი თბილისის რაიონის ნორიოს, ავჭალისა და დიღომის სკოლებში.

ზოგი განათლების განყოფილების გამგე ოპერატიულად არ ხელმძღვანელობს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეს და კმაყოფილდება სკოლიდან წარმოდგენილი შეუმოწმებელი ცნობებით მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ.

ამიტომ არის, რომ მათ არა აქვთ სწორი და ნათელი წარმოდგენა რაიონში ამ კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ და მათ მიერ მიღებული ღონისძიებანი იმდენად ზერელე და ფორმალურია, რომ არავითარ ეფექტურ შედეგებს არ იძლევა.

მაგალითად: ცხაკაიას რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ცნობით მიმდინარე სასწავლო წელს პირველ სექტემბრიდან დღემდის სკოლებს ჩამოცილდა 13 მოსწავლე, ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ რაიონის მხოლოდ ორ სკოლიდან—ცხაკაიას ქალთა საშუალო და ცხაკაიას რუსულ საშუალო სკოლას ჩამოცილებულია 17 მოსწავლე.

წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგის ცნობით ამავე პერიოდში უმიზეზოდ სკოლებიდან არცერთი მოსწავლე არ განთესილა. ადგილზე შემოწმებით კი დადასტურდა, რომ მხოლოდ წითელწყაროს საშუალო სკოლიდან განთესილია 10 მოსწავლე; სიღნაღის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ცნობით არასაპატიო მიზეზით სკოლებს ჩამოცილდა 15 მოსწავლე, 1949 წლის იანვრის თვეში ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ მარტო ტიბაანის საშუალო სკოლას ჩამოცილდა 15 მოსწავლე, წნორის საშუალო სკოლას 22 მოსწავლე; თბილისის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ცნობით რაიონიდან სამი წლის მანძილზე განთესილია 58 მოსწავლე. იანვარში ჩატარებულმა შემოწმებამ კი ცხადჰყო, რომ მარტო ავჭალის რუსულ რვაწლიან, ნორიოს, დიღომისა და მარტყოფის საშუალო სკოლებიდან განთესილია 60-ზე მეტი მოსწავლე.

ასეთი უყურადღებობის შედეგია ის, რომ მცხეთის რაიონის სკოლებიდან განთესილია 108 მოსწავლე, თელავის სკოლებიდან 52 და მაიაკოვსკის რაიონიდან 26 მოსწავლე და ა. შ.

განათლების განყოფილების გამგეები მუშაობას არ აწარმოებენ იმ მიმართულებით, რომ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში ჩააბან ფართო მასები და საჭირო შემთხვევაში საკითხი დასვან ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე.

ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ზემოსვანეთის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ფილფანს იმის ნაცვლად, რომ იმ მშობლების საკითხი, რომლებიც შეგნებულად

არ უშვებენ ბავშვებს სკოლებში, დაესვა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე ამ მშობლების მიმართ ზომების მისაღებად, მან მოსწავლეთა შესახებ შედგენილი აქტი გამოუგზავნა განათლების სამინისტროს მშობლების პასუხისგებაში მისაცემად.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრის მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ „სკოლის ასაკის (7-დან 15 წლამდე) ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით, და ვაფრთხილებ, ამ ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება ორგანიზაციული ზომები;

ბ) დაწყებითი სკოლის ასაკის ერთეული ბავშვები, რომლებიც 2—3 წლის განმავლობაში ჩამოშორდნენ სკოლას, ჩარიცხონ დაწყებითი სკოლის იმ კლასში, რომლიდგანაც ისინი გამოსული არიან;

გ) ხოლო სკოლისგარეშე დარჩენილი არასკოლის ასაკის იმ ბავშვების სია, რომელთა რომელიმე კლასში ჩარიცხვა შეუძლებელია, გადაუგზავნონ განათლების განყოფილებას მათი სოფლის ახალგაზრდობის, მუშათა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა და საფ.-საქარხნო სკოლებში გასანაწილებლად;

დ) არ დაუშვან ბავშვების სკოლაში ჩარიცხვა საჭირო საბუთების გარეშე და არ გასცენ საბუთები მოსწავლეებზე სახალხო განათლების განყოფილების თანხმობის გარეშე;

ე) შემოიღონ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი და სისტემატურად აწარმოონ სკოლიდან გასულ და სხვა სკოლიდან მოსულ მოსწავლეთა აღრიცხვა. სკოლიდან მოსწავლის გასვლა გააფორმონ ბრძანებით—გასვლის მიზეზების დეტალურად ჩვენებით. ის მოსწავლეები, რომელთა სკოლიდან გასვლა ამ წესით და სათანადო საბუთით არ იქნება გაფორმებული,—ჩაითვლება განთესილად.

2. სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ერთი დეკადის ვადაში შეამოწმონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით

დამტკიცებული ინსტრუქციის შესრულების მიმდინარეობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის მდგომარეობას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააჩნია თუ არა სკოლას მოსწავლეთა მოძრაობის სწორი აღრიცხვა და საჭირო საბუთები, როგორ ტარდება სკოლებში ზემოხსენებული ინსტრუქციით გათვალისწინებული წესები მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაზე კონტროლის დაწესების შესახებ და ამ წესების დარღვევაში შემჩნეული დირექტორის (გამგის) წინააღმდეგ მიიღონ ორგანიზაციული ზომები;

ბ) იმ მშობლების, ან სხვა მზრუნველი პირების მიმართ, რომლებიც არასაპატიო მიზეზით ბავშვებს არ მიაბარებენ სკოლაში და არ უზრუნველყოფენ ბავშვების სკოლაში გამოგზავნას, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

გ) დირექტორებისა და კლასის ხელმძღვანელების მეშვეობით შეამოწმონ ავადმყოფობის მიზეზით სკოლიდან ჩამოშორებულთა მდგომარეობა და არასწორი ცნობების გაცემის შემთხვევაში დამნაშავე მისცენ პასუხისგებაში, ხოლო მოსწავლეები დააბრუნონ სკოლაში;

3. მიეთითოს სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. კ. ნადირაძეს, წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. დონჯაშვილს, თეთრიწყაროს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. სიმონიშვილს, ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. შონიას იმის გამო, რომ ისინი განათლების სამინისტროში აგზავნიან შეუმოწმებელ ცნობებს განთესილ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ.

სათანადოდ არ ანხორციელებენ სკოლებზე კონტროლსა და ხელმძღვანელობას, არ ამოწმებენ სასკოლო უბნებში სკოლისგარეთ დარჩენილ ბავშვების აღრიცხვა-შემოწმებას და არ ღებულობენ საჭირო ზომებს სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლებში მთლიანად ჩასაბმელად.

4. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ:

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის შემოწმებისას, შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები აპრილის ბოლოსათვის მოახსენოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1949 წლის 15 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 389

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 7 მარტი,

მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნა-ჩვევის დანერგვის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1949 წლის 22 თებერვლის ერთობლივი დადგენილების შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნა-ჩვევების დანერგვისა, თვითნაკეთობათა დამზადების საქმეში მოსწავლეების მასობრივად ჩაბმისა და სკოლების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის დახმარების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი საუკეთესო ნაკეთობათა და სასწავლო ხელსაწყოების დამზადებაზე—„ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“.

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მიერ წარმოდგენილი კონკურსის დებულება დამტკიცდეს.

3. კონკურსის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: მ. ბურჭულაძე (თავმჯდომარე), მ. ჟორჟიკაშვილი (საქ. ალკკ ც. კ-ი), გ. ეპიტაშვილი (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, ორგკომიტეტის მდივანი), ტ. აბზიანიძე (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი), ვ. კვიმსაძე (განათლების სამინისტრო), გ. კიკნაძე (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტექნიკის განყოფილების გამგე), ნ. ჯაფარიძე (განათლების სამინისტრო), გრ. კობახიძე (24-ე ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორი), გრ. სანაძე (მე-20 ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორი), დავთიანი (მე-13 ვაჟთა საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი).

4. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს კონკურსის დებულება, თემატიკა და პირობები ფართოდ გააცნონ სკოლებსა და სკოლის-

გარეშე საბავშვო დაწესებულებებს და მიაღწიონ ნორჩ ტექნიკოსთა მასობრივად ჩაბმას ამ მუშაობაში.

5. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1949 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს კონკურსის ხარჯებისათვის 15 ათასი მან.

6. დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილებას გამოუყოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს კონკურსის საჭიროებისათვის 100 კგ. ქაღალდი.

7. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციას პერიოდულად გააშუქოს კონკურსის ჩატარების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური კონკურსი

„ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“

კონკურსის დებულება

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური 1949 წლის 1-ლ მარტიდან 15 ნოემბრამდე ატარებს საკ. ალკკ XI ყრილობისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონკურსს—„ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“.

2. კონკურსის ჩატარების მიზანია: ა) გააღრმაოს მოსწავლეების ცოდნა ფიზიკაში, ქიმიასა, მათემატიკასა, ასტრონომიასა და სხვა საგნებში. ბ) დანერგოს მოსწავლეებში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი ჩვევები და რეალური დახმარება გაუწიოს სკოლების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებს თვალსაჩინო ხელსაწყოებით გამდიდრების საქმეში.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეებს, ნახიმოვის სასწავლებლების მოსწავლეებს და საბავშვო სახლის აღსაზრდელებს;

ბ) სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს (ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, პიონერთა და მოსწავლეთა სახლები და სხვა);

გ) პიონერთა რგოლებს, რაზმებსა და რაზმეულებს.

კონკურსის თითოეულ მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს ნამუშევრების განუსაზღვრელი რაოდენობა.

კონკურსის თემატიკა

4. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს:

ა) თვითნაკეთი სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოები ქიმიასა, ფიზიკასა, მათემატიკასა, ასტრონომიასა და სხვა საგნებში;

ბ) მოდელები, რომლებიც შეიძლება დემონსტრირებული იქნეს როგორც თვალსაჩინოებანი ქიმიის, ფიზიკისა და სხვა საგნების სასკოლო კურსის გავლის დროს;

გ) სასკოლო რადიო კვანძები, ქარის ძალოვანი და ჰიდროელექტრო სადგურები და სხვ.

5. ექსპონატების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა:

ა) ახლად კონსტრუირებული სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოიარაღებს;

ბ) ნამუშევრებს, რომლებიც ფაბრიკის მიერ გამოშვებულ თვალსაჩინო იარაღების ხარისხს აუმჯობესებენ (კონსტრუქციის გამარტივება, კონსტრუქციაში ნაკლებად დეფიციტური მასალების ხმარება);

გ) ხელსაწყოების ისეთი კომპლექტის წარმოდგენა, რომელიც ამომწურავ პასუხს იძლევა ერთ გარკვეულ თემაზე (მაგალითად, „მექანიკური ძრაობა", „სითბური ენერგია", „ელექტრომაგნიტური ინდუქცია" და სხვა).

კონკურსის ჩატარების წესი

6. კონკურსის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან არსდება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

7. ადგილებზე განათლების განყოფილებებთან იქმნება კონკურსის ჩატარების ხელშემწყობი საქალაქო და სარაიონო კომისიები განათლების განყოფილების, ალკკ რაიკომის, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულების წარმომადგენელთა, ფიზიკის, ქიმიისა და მათემატიკის მასწავლებელთა და სპეციალისტების შემადგენლობით.

8. ადგილებზე კომისიები ატარებენ შემდეგ მუშაობას:

ა) აცნობენ კონკურსის ჩატარების პირობებს რაიონისა და ქალაქის ყველა მოსწავლეს;

ბ) კონკურსის მონაწილეთათვის აწყობენ კონსულტაციებს და უწევენ მათ პრაქტიკულ დახმარებას;

გ) 1949/50 სასწავლო წლის დასაწყისისათვის აწყობენ კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრების გამოფენას;

დ) წარმოდგენილ ექსპონატებიდან შეარჩევენ საუკეთესოებს და გადმოგზავნიან ქ. თბილისში გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად.

9. მოსწავლეთა კოლექტივები, რომლებიც კონკურსში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ, წერილობით აცნობენ ამის შესახებ ადგილობრივ კომისიებს. წერილში აღინიშნება თუ რამდენი მოსწავლე ებმება კონკურსში, რის გაკეთებაა განზრახული და ვისი ხელმძღვანელობით გაკეთდება ის.

10. 1949 წლის 1 აპრილიდან კონკურსში მონაწილე სკოლები და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები ყოველი თვის პირველ რიცხვში უდგენენ ადგილობრივ კომისიებს დამზადებულ ექსპონატთა

სიას, ხოლო ეს უკანასკნელნი კი ყოველი თვის 10 რიცხვისათვის საბოლოო ცნობებს აგზავნიან ორგკომიტეტში ქ. თბილისში.

11. 1949 წლის 15 ნოემბრისათვის კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე ქ. თბილისში დაიშვება მხოლოდ ის ნამუშევრები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დებულების № 5 და № 6 პარაგრაფის მოთხოვნილებებს.

დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

საორგანიზაციო კომიტეტი აჯამებს ადგილებზე ჩატარებულ მუშაობას, გამოფენის მასალებიდან შეარჩევს საუკეთესო ნამუშევრებს და აჯილდოებს მათ ავტორებს. დაჯილდოვდებიან აგრეთვე წრეების ხელმძღვანელები და სკოლისგარეშე დაწესებულებანი, რომლებიც კარგად ჩაატარებენ ამ დარგში მუშაობას.

კონკურსზე წარმოდგენილ საუკეთესო ექსპონატთა აღწერილობანი გამოქვეყნდება საინფორმაციო ბიულეტენში და გამოიცემა ცალკეული კრებულის სახით.

ორგკომიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, პლეხანოვის პრ. № 182. „ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ც. კ-ის ბიუროს გამართიანებული დადგენილება

ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ც. კ-ის ბიურო აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და შრომითი ტექნიკური ჩვევების დანერგვის საქმეში ერთგვარად გაუმჯობესებულია ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობა: საგრძნობლად გაზრდილია ელექტრო-ტექნიკური, ავიასამოდელო, რადიო და ფოტოლაბორატორიების წრეებში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი; უმეტეს ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურში წრეები დაკომპლექტებულია ბავშვთა ასაკისა და მომზადების გათვალისწინებით და ტექნიკის დარგში მოსწავლეთა ცოდნის შესაბამისად ჩამოყალიბებულია დამწყებთა, მაღალი ტიპისა და თავისუფალ თემათა წრეები: ნორჩ ავიამოდელისტთა, რადიო მოყვარულთა და ელექტრო-ტექნიკოსთა მიერ კონსტრუირებულია მნიშვნელოვანი მოდელები და ნაკეთობანი, რომლებიც ამ მოსწავლეთა კონსტრუქტორულ ნიჭსა და ტექნიკურ შემოქმედებას ამჟღავნებენ. ასე, მაგალითად, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ნორჩმა ელექტროტექნიკოსმა, ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ნოდარ ინჯიამ, დაამზადა ელექტროსაათის მოქმედი მოდელი და ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების რესპუბლიკურ გამოფენაზე 1948 წელს პირველი პრემია მიიღო.

მანვე რადიომიმღებში ნათურების გადახურების საწინააღმდეგო ხელსაწყოს—რელეს დამზადებისათვის მე-7 საკავშირო დაუსწრებელ რადიოგამოფენაზე მოსკოვში 1948 წ. მეორე ხარისხის დიპლომი მიიღო; ელექტრომოტორის მოქმედი მოდელი ააგო ამავე სადგურის ელექტრომექანიკური ლაბორატორიის წრის წევრმა, ვაჟთა მე-13 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ იური არჯევანიძემ; პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის რადიოკაბინეტის წრის წევრებმა, თბილისის ვაჟთა მე-3 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა იგორ ნიკოლოზის-ძე აგლაძემ და ანდრო ბობროვმა,

საკავშირო დაუსწრებელ რადიოგამოფენაზე მოსკოვში 1948 წ. მეორე ხარისხის ჯილდო მიიღეს მათ მიერ კონსტრუირებულ რადიომიმღებისათვის და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების რესპუბლიკურ გამოფენაზე ქ. თბილისში 1948 წ. 13 ნორჩი ტექნიკოსი დაჯილდოებულ იქნა I პრემიით, 13 მეორეთი და 4 კი მესამე პრემიით.

მიუხედავად ამისა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი:

ა) ჯერ კიდევ მცირეა წრეებში ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენობა. ხოლო ნორჩ ტექნიკოსთა ზოგიერთ სადგურში ფაქტიურად იმაზე ნაკლები ირიცხება, რაც სიაშია აღნიშნული. ასე, მაგალითად, სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში სიით 111 მოსწავლე ირიცხება, ფაქტიურად კი მუშაომაში ჩაბმულია 53 მოსწავლე; თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტექნიკის განყოფილებაში 494 მოსწავლე ირიცხება, ფაქტიურად კი წრეების მუშაობაში მხოლოდ 350 მოსწავლეა გაერთიანებული; ახალციხის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავიასამოდელო და ფოტო წრეებში მხოლოდ 6 მოსწავლეა გაერთიანებული;

ბ) ზოგან წრეები არ არის დაკომპლექტებული მოსწავლეთა მომზადებისა და ტექნიკური ცოდნის მიხედვით, წრეში გაერთიანებული არიან აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეებიც, რომლებიც სათანადო ინტერესის უქონლობის გამო მუშაობას თავს ანებებენ.

მაგალითად, ხაშურის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში არ არის შექმნილი დამწყებთა, მაღალი ტიპისა და თავისუფალ თემათა წრეები, ყველა მოსწავლე ერთი და იგივე პროგრამით მეცადინეობს; ზესტაფონის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის წრეებში სიით გაერთიანებულ 120 მოსწავლიდან 25 აკადემიურად ჩამორჩენილია; ოჩამჩირის ნ/ტ სადგურში სასწავლო წლის დასაწყისში 80 მოსწავლე იყო გაერთიანებული, ამჟამად კი მხოლოდ 29 მოსწავლე მუშაობს;

გ) ბევრ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში წრეების მუშაობა არ არის რეგლამენტირებული, დარღვეულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 25/IV № 789 ბრძანება სამუშაო რეჟიმის შესახებ პიონერთა და მოსწავლეთა სახლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, ზოგან კიდევ საწრეო მუშაობაზე სათანადო კონტროლის უქონლობის გამო ადგილი აქვს მოსწავლეთა გადატვირთვას.

ასე, მაგალითად, ახალციხის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურს არა აქვს წრეების მუშაობის კალენდარული ცხრილი, მოსწავლეები წრეში ყოველდღე მუშაობენ, იგივე სადგური 8 საათის ნაცვლად დღეში მხოლოდ ოთხ საათს მუშაობს, თბილისის ლენინის სახელობის რაიონის

ნორჩ ტექნიკოსთა სადგური კი სამ საათს (საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე) ხოლო ბორჯომისა და სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები კვირაში მხოლოდ სამ დღეს მუშაობენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ნორჩ ტექნიკოსთა ზოგიერთ სადგურს არ გააჩნია ცნობები წრის წევრ მოსწავლეთა შესახებ, არა აქვთ შედგენილი პირადი ბარათები და სხვა;

ე) რიგ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში წრეებს არა აქვს სამუშაო გეგმები, ხოლო არსებული გეგმები ხშირად არ არის შეფარდებული მოსწავლეთა ცოდნასთან ფიზიკა-მათემატიკურ დისციპლინებისა და ტექნიკის დარგში; ასეთი მდგომარეობაა მაგალითად, ბათუმისა და თბილისის ლენინის სახელობის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში;

ვ) ბევრი ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის წრეები არ არის უზრუნველყოფილი საჭირო მასალით და ხელსაწყო-იარაღებით, რის გამო მუშაობა წრეებში ან სულ არ ტარდება, ანდა ტარდება პრიმიტულად და ხელს არ უწყობს მოსწავლის კონსტრუქტორული ნიჭისა და უნარის გაშლა-განვითარებას. მაგალითად, ოჩამჩირის, ახალციხის, წყალტუბოსა და ხაშურის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ნორჩ ავიამოდელისტთა და რადიომოყვარულთა წრეებში მუშაობა შეჩერებულია მასალებისა და ხელსაწყო-იარაღების უქონლობის გამო; თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავია და რადიოლაბორატორიების ხელსაწყოები მოძველებულია;

ზ) ავიასამოდელო, ელექტროტექნიკურ და რადიომოყვარულთა წრეების ხელმძღვანელებად უმთავრესად პრაქტიკოსი ტექნიკოსები მუშაობენ, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ დაწყებითი ტექნიკური ჩვევები მისცენ მოსწავლეებს და ვერ წარმართავენ მათ მუშაობას თეორიულ-ტექნიკური განათლების გაღრმავების მიმართულებით; წრეებში მუშაობა წარმოებს უმთავრესად მზა ნახაზების გადაღებისა და მოდელების სახით, რასაც ხშირ შემთხვევაში ვიწრო ხელოსნური ხასიათი აქვს და პედაგოგიკურ მნიშვნელობასაც მოკლებულია;

თ) სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და კომკავშირის რაიკომებისა და ქალაქკომების უყურადღებობის გამო ნორჩ ტექნიკოსთა ბევრ სადგურს არ გააჩნია შესაფერი ბინა და ამის გამო მუშაობა სათანადოდ არა აქვთ გაშლილი. ასე, მაგალითად, გორის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური დღემდე ერთ პატარა ოთახშია მოთავსებული, ხოლო წყალტუბოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგური ერთ 14 მეტრიან მიშენებულ ფარდულში მუშაობს;

ი) განათლების განყოფილებები და კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობენ ნორჩ ტექ-

ნიკოსთა სადგურებს, არ ეცნობიან მათ მუშაობას და არ ეხმარებიან სასწავლო-მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიურო ადგენენ:

1. საზოგადოებრივ და სხვა არასასწავლო მუშაობით მოსწავლეთა გადატვირთვის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1949 წლის 9/II № 188 ბრძანების შესაბამისად, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურსა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტექნიკის განყოფილებასა და ნორჩ ტექნიკოსთა რაიონულ სადგურებში დაწესდეს შემდეგი სამუშაო რეჟიმი:

ა) ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტექნიკის განყოფილება მუშაობდეს ყოველდღე (გარდა ორშაბათისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 6 $^1/_2$ საათამდე, ხოლო სადაც ეს შესაძლებელია, დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ორსაათიანი შესვენებით ნაშუადღევის ორი საათიდან 4 საათამდე;

ბ) ყოველ მოსწავლეს შეუძლია იმუშაოს მხოლოდ ერთ წრეში კვირაში ორჯერ ორ-ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით;

გ) ყოველგვარი მასობრივი ღონისძიებანი (ლექცია-საუბრები, მხატვრული საღამოები, შეხვედრები და სხვ.) სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში მთავრდებოდეს არაუგვიანეს საღამოს 9 საათისა;

დ) განემარტოთ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებს, რომ დადგენილი რეჟიმის თავის შეხედულებისამებრ შეცვლა მათ ჩაეთვლებათ შრომის დისციპლინის დარღვევად.

2. დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის და ნორჩ ტექნიკოსთა რაიონული სადგურების დირექტორებს:

ა) წრეების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების მუშაობაში მხოლოდ ის მოსწავლენი ჩარიცხონ, რომლებიც ყველა საგანში ასწრებენ და ამის შესახებ სკოლიდან სათანადო ცნობა აქვთ;

ბ) ყოველი მეოთხედის ბოლოს შეამოწმონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატება სკოლაში და აკადემიურად ჩამორჩენილნი გაათავისუფლონ მუშაობისაგან;

დ) მიაღწიონ წრის წევრთა რიცხვის გაზრდას ტექნიკის შესწავლით დაინტერესებულ ბავშვებით;

ე) იქონიონ ცნობები წრის წევრ-მოსწავლეთა შესახებ, შეადგინონ მათზე პირადი საქმეები განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, იქონიონ მოსწავლეთა მიერ წრეში ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, იმგვარად, რომ შეიძლებოდეს მოს-

წავლის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარის ზრდაზე დაკვირვება;

ვ) შეადგინონ წრეების მუშაობის ერთიანი ცხრილი. მტკიცე კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა მუშაობაზე, ზუსტად დაიცვან დაწესებული რეჟიმი და არ დაუშვან მოსწავლეთა ადრე გამოცხადება ან უსაქმოდ ყოფნა მეცადინეობის შემდეგ;

ზ) ერთი კვირის ვადაში გადასინჯონ წრეების სამუშაო გეგმები და პროგრამები და იმგვარად შეადგინონ ახალი, რომ იგი თემატიკითა და სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის სახეების მიხედვით შეეფარდებოდეს მოცემულ წრეში გაერთიანებულ მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკურ ცოდნას, რომ იგი მოსწავლეთათვის არამარტო პირველდაწყებითი შრომითი ტექნიკური ჩვევების მიცემის შესაძლებლობას იძლეოდეს, არამედ თეორიული ტექნიკური ცოდნის გაღრმავებასაც უწყობდეს ხელს;

თ) იმგვარად მოაწყონ წრეებში პრაქტიკული მუშაობა, რომ მას არ ჰქონდეს მარტო მოდელირებისა და ხელოსნურობის ხასიათი და ხელს უწყობდეს მოსწავლეთა შეგნებულ მუშაობას, მათი ნიჭის, უნარისა და გემოვნების განვითარებას;

ი) მტკიცედ გაატარონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის 2/XI №3330 ბრძანება ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის ღონისძიებათა შესახებ სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში;

კ) იქონიონ მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნაკეთობების (ხელსაწყოები, მოდელები, აღრიცხვა და თითოეულზე შეადგინონ პასპორტი.

3. მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნა-ჩვევების დანერგვის, თვითნაკეთობათა დამზადების საქმეში მოსწავლეების მასობრივად ჩაბმისა და სკოლების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის დახმარების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი საუკეთესო ნაკეთობათა და სასწავლო ხელსაწყოების დამზადებაზე—„ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“.

დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს შეიმუშაოს ინსტრუქცია და დებულება კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ და ხუთ მარტამდე წარუდგინოს დასამტკიცებლად განათლების სამინისტროს კოლეგიასა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს.

4. დაევალოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მოსწავლეთა შორის ტექნიკური პროპაგანდისა და ჩვენი ქვეყნის ტექნიკის თანამედროვე მიღწევებისა და ისტორიის პოპულარიზების მიზნით საუ-

კეთესო სამეცნიერო ტექნიკური ძალების მონაწილეობით ჩაატაროს ლექციების ციკლი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული თემატიკისა და გეგმის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორს:

ა) გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა რაიონულ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებზე;

ბ) ა/წ 15 აპრილამდე დაამთავროს ხელსაწყო-იარაღების ინსტრუმენტოტეკის მოწყობა, რომ ნორჩ ტექნიკოსებს საშუალება ჰქონდეთ სკოლასა და სახლში დროებით სარგებლობაში მიიღონ მათთვის საჭირო ინსტრუმენტები.

6. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს:

ა) გადასინჯოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ელექტრო-ტექნიკური, ავიასამოდელო, რადიო, ფოტო და სხვა წრეების პროგრამები მათში შშობლიური ტექნიკის უახლეს მიღწევათა შესახებ დამატებისა და ცვლილებების შესატანად;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1949 წ. 9/II № 188 ბრძანების შესაბამისად შეიტანოს ცვლილებები ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისა და პიონერთა და მოსწავლეთა სახლების შინაგანაწესსა და დებულებებში;

გ) 1949 წლის ივლისში მოაწყოს ნორჩ ტექნიკოსთა რაიონული სადგურების წრეების ხელმძღვანელთა სამდღიანი კურსები.

7. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ საშუალო სკოლების სამმართველოსთან ერთად პირველ აპრილამდე გადასინჯოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების დირექტორების კადრები და არასპეციალისტები შესცვალოს ბავშვთა შორის მუშაობის გამოცდილების მქონე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით.

8. დაევალოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს:

ა) ნორჩ ტექნიკოსთა რაიონული სადგურებს საწრეო მუშაობისათვის 1949 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს 100.000 მან.

ბ) ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ხელსაწყო-იარაღებითა და ინვენტარით უზრუნველსაყოფად გამოჰყოს 1949 წლის ბიუჯეტში 150.000 მან.

9. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რათა განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების განყოფილებას ნება მიეცეს საავჭრო ორგანიზაციებიდან გადარიცხვის წესით შეიძინოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები და სასწავლო მასალები.

10. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს, საქ. ალკკ კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებზე ხელმძღვანელობის საქმე, ხშირად გამოიკვლიონ მათი მუშაობა. კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა შედეგებზე პერიოდულად მოისმინონ მოხსენებანი ბიუროს სხდომებზე, ხოლო განათლების განყოფილებებმა დასვან საკითხი ქალაქისა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე და გადამჭრელი ზომები მიიღონ, რათა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს შეექმნას ნორმალური მუშაობისათვის საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზა;

ბ) ფართოდ გაშალონ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მსხვილ საწარმოთა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აიღონ შეფობა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებზე და აქტიური დახმარება გაუწიონ მათ მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

11. დაევალოს გაზეთების „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდი სტალინეცის" და „ნორჩი ლენინელის" და საბავშვო ჟურნალების: „პიონერისა" და „დილას" რედაქტორებს სისტემატურად გააშუქონ ბავშვთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის საკითხები.

განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ და საქართველოს ალკკ ც. კ-ის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა განყოფილებამ ა/წ პირველ ივლისამდე შეამოწმონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგებზე მოახსენონ განათლების სამინისტროს კოლეგიასა და საქართველოს ალკკ ც. კ-ის ბიუროს

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ზოდელავა

№ 245. 7 მარტი, 1949 წ.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 420

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 11 მარტი.

მოსწავლეთა ერთიანი ფორმების შემოღებისა და ტარების წესების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1948 წლის 22 ნოემბრის № 3469 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ქ. თბილისის სკოლებში.

ჩატარებული შემოწმების შედეგად აღვნიშნავ, რომ ქ. თბილისის სკოლებში მოსწავლეთა ერთიანი ფორმების შემოღებამ უაღრესად მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი როლი ითამაშა სკოლებში და სკოლისგარეთ მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის დანერგვისა, სისუფთავისა და პირადი ჰიგიენის დაცვისა და სკოლის ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავების დარგში.

ამ მხრივ გამოირჩევიან ქ. თბილისის 24-ე (დირექტორი—გრ. კობახიძე), მე-2 (დირექტორი—თავაძე), მე-19 (დირექტორი—კოტრიკაძე), მე-4 (დირექტორი—კორსაველი), 21-ე (დირექტორი—გოგიბერიძე) და სხვა სკოლის დირექტორები.

ამ სკოლების დირექტორები, მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მოსწავლეთა ერთიანი ფორმის შემოღების საქმეს. თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდვეს განათლების სამინისტროს მითითებანი და მთელი პედაგოგიური კოლექტივი დარაზმეს ამ მითითებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ საქმეში ჩააბეს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, რის შედეგად ამ სკოლებში მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას შეძენილი აქვს ფორმები და სათანადოდ უვლის, სკოლაში და სკოლისგარეთ იცავს ფორმის ტარების წესებს.

მაგრამ შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ქ. თბილისის სკოლების დირექტორებისა, მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების თვალსაჩინო ნაწილი არ აფასებს მოსწავლეთა ერთიანი ფორმის აღმზრდელობით მნიშვნელობას და საკმაო მუშაობას არ აწარმოებენ ამ მიმართულებით, რომ მოსწავლეები იძენდნენ ერთიან ფორმებს და იცავდნენ ფორმების ტარების წესებს.

ამის გამო მთელ რიგ სკოლებში მოსწავლეთა ერთიან ფორმას იმდენად დამახინჯებულად ატარებს მოსწავლეები, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებას დაკარგული აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ასე, მაგალითად, ვაჟთა მე-17 (დირექტორი—ს. ბიბილეიშვილი), მე-18 (დირექტორი—შატბერაშვილი), მე-15 (დირექტორი—სიმონია), 30-ე (დირექტორი—ბრეგაძე), 31-ე (დირექტორი—ბახშინიანი), 29-ე (დირექტორი—მდინარაძე), მე-14 (დირექტორი—თაბუკაშვილი), მე-12 (დირექტორი—კარტოზია), მე-11 (დირექტორი—გელიაშვილი), 42-ე (დირექტორი—სვანიძე), 26-ე (დირექტორი—ბადოიანი), 27-ე რვაწლიანი (დირექტორი—მახგალდიანი) და სხვა საშუალო სკოლებში მოსწავლეების ნაწილი ატარებს ფორმის ხან მარტო ქუდს (კოკარდით ან უკოკარდოდ), ხან ან მარტო შარვალს, ან ხალათს, ხშირად უქამროდ, უღილებოდ, ჭუჭყიანი, დასვრილი ტანსაცმელით დადიან.

მე-17 საშუალო სკოლის მე-6² კლასში ზოგ მოსწავლეს შინ შეკერილი ფორმის ხალათი ეცვა, არ ჰქონდა ფორმის ქუდი და შარვალი, იყო უქამროდ. ამავე სკოლის X კლასის ზოგ მოსწავლეს ეცვა ფორმა, მაგრამ არ ჰქონდა ქამარი და ქუდი. 30-ე ვაჟთა საშუალო სკოლის VI კლასის და 31-ე სკოლის III, IV, V, VII კლასების მოსწავლეები სკოლაში უქამროდ ისხდნენ, ეცვათ ჭუჭყიანი შარვლები და ხალათები. ხალათებზე არ ჰქონდათ ღილი.

მე-11 ვაჟთა საშუალო სკოლის VIIკლასის 9 მოსწავლე მარტო ფორმის ქუდებით დადის (მათ შორის 3 უკოკარდოთ). მე-14 ვაჟთა სკოლის III-ა კლასის 6 მოსწავლე უქუდოდ და უქამროდ დადის სკოლაში.

მე-12 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-4 კლასის 32 მოსწავლიდან ნაწილი ფორმის ქუდს ატარებს, ნაწილი ხალათს, ნაწილი შარვალს, ხოლო ნაწილი უქამროდ დადის.

აღნიშნულ სკოლებისა და მთელი რიგი სხვა სკოლების მოსწავლეებს შეძენილი აქვთ ფორმები, მაგრამ სკოლაში ფორმებით არ დადიან.

მაგ. მე-17 ვაჟთა საშუალო სკოლის VI² კლასის 36 მოსწავლიდან ფორმა შეძენილი აქვს 28 მოსწავლეს, ხოლო 22 თებერვალს სკოლაში ფორმით გამოცხადდა 5 მოსწავლე. ამავე სკოლის X კლასის 21 მოსწავლიდან ფორმა შეძენილი აქვს 17 მოსწავლეს. შემოწმების დღეს სკოლაში ფორმით არც ერთი მოსწავლე არ გამოცხადებულა. ამავე სკოლის V კლასის 46 მოსწავლიდან ფორმა შეძენილი აქვს 33 მოსწავლეს, ხოლო სკოლაში ფორმით გამო-

ცხადდა 7 მოსწავლე; 30-ე ვაჟთა საშუალო სკოლის VI² კლასის 19 მოსწავლეს აქვს შეძენილი ფორმის ტანსაცმელი, ხოლო გაკვეთილზე 22/II ფორმით 6 მოსწავლე მოვიდა. ამავე სკოლის VII კლასის 31 მოსწავლეს შეძენილი აქვს ფორმის ტანსაცმელები, ხოლო ფორმით სკოლაში დადის 10 მოსწავლე. 31-ე ვაჟთა სკოლის V, VII, IX, X კლასების მოსწავლეებს შეძენილი აქვთ ფორმის ტანსაცმელები, მაგრამ სკოლაში ფორმით არ დადიან.

42-ე ვაჟთა საშუალო სკოლის IX კლასის 19 მოსწავლეს აქვს შეძენილი ფორმის ტანსაცმელი, ხოლო სკოლაში ფორმით დადის 4 მოსწავლე.

26-ე ვაჟთა საშუალო სკოლის IX კლასის 16 მოსწავლეს აქვს შეძენილი ფორმა, სკოლაში ფორმით 2 მოსწავლე დადის.

27-ე საშუალო სკოლის VIII კლასის 18 მოსწავლეს აქვს ფორმა, სკოლაში კი ფორმით ცხადდება 7 მოსწავლე.

განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლის დირექტორები განათლების სამინისტროს მითითების მესაბამისად, არ ატარებენ საჭირო ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსწავლეთა და მშობლებს შორის მოსწავლეთა ერთიანი ფორმის მნიშვნელობის შესახებ და არ ღებულობენ სათანადო ზომებს მოსწავლეთა მიერ ერთიანი ფორმის შეძენისათვის.

ამის შედეგია ის, რომ მთელ რიგ სკოლებში მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას ფორმები შეძენილი არა აქვს.

მე-12 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-2 კლასის 40 მოსწავლიდან ფორმის ტანსაცმელი შეძენილი აქვს 8 მოსწავლეს; V² კლასის 32 მოსწავლიდან ფორმა აქვს 5 მოსწავლეს; მე-11 სკოლის VI² კლასის 24 მოსწავლიდან ფორმა მხოლოდ 1 მოსწავლეს აქვს. VII¹ VII² კლასების 43 მოსწავლიდან ფორმა შეძენილი აქვს სამ მოსწავლეს, 29-ე საშუალო სკოლის IV კლასის 33 მოსწავლიდან ფორმის ტანსაცმელი არ გააჩნია 10 მოსწავლეს. ამავე სკოლის IV² კლასის 30 მოსწავლიდან ფორმის ტანსაცმელი შეძენილი აქვს 5 მოსწავლეს და ა. შ.

განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლის დირექტორები არ ასრულებენ განათლების სამინისტროს დავალებას საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში მოსწავლეთა ფორმის სწორად ტარებისა და წესიერად ქცევაზე კონტროლის დაწესების შესახებ.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში 27/II სპექტაკლს ესწრებოდა 45-ე ქალთა სკოლის (დირექტორი თავამაიშვილი) 136 მოსწავლე, სკოლიდან არავინ არ ახლდა, ისინი მიტოვებულნი იყვნენ მეთვალყურეობის გარეშე და სტეხდნენ ხმაურსა და აურზაურს. ამავე

თეატრში ესწრებოდა ვაჟთა 42-ე სკოლის 39 მოსწავლე. ეს მოსწავლეები არღვევდნენ წესრიგს, ეწეოდნენ პაპიროსს, სკოლიდან არც ერთი მასწავლებელი არ ხლებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიროვის რაიონის ნარიმანოვის სახელობის კლუბში, მოსწავლეები სისტემატურად იყრიან თავს, იქცევიან უწესოდ და მათი საქციელი სცემს სკოლის ავტორიტეტს. ამ გარემოებას არ აქცევენ ყურადღებას სკოლები.

თვალსაჩინო მოვლენად იქცა მე-5 და 31-ე ვაჟთა სკოლის მოსწავლეების მიერ ქუჩებში წესრიგის დარღვევის შემთხვევები, რაც სკოლების დირექტორების ყურადღების გარეშე რჩება.

მოსწავლეთა ერთიანი ფორმების შეძენისა და მათი ტარების წესების დაცვის საქმეს გულგრილად ეკიდებიან კლასის ხელმძღვანელები: რ. მანქანაშვილი და ლ. ფირცხალავა (IV-ა, IV-ბ კლ. 29-ე ვაჟთა საშ. სკოლა); ელიბეკიანი, დევიძე (V კლ. 30-ე ვაჟთა სკოლა); ი. ბელსკაია, ნალბანდიანი (VI, VII კლ.—30-ე ვაჟთა სკოლა); სიჭინავა, კორკოვიდოვი (VI,VIIა—მე-11 ვაჟთა სკოლა); მაჭავარიანი; ქუთათელაძე (IVა II, IV, V კლ. მე-12); მ. ჭელიძე, ს. ხიმშიაშვილი (ვაჟთა სკოლა); ბეროიანი, ბლეიხი, მინასიანი (V^1, V^2, VII, IX, X კლ.); კოსაკიანი, ხაჩატურიანი (31-ე ვაჟთა სკოლა). ბერძენი ა. გ. (IX კლ. 26-ე ვაჟთა სკოლა); სევერიანოვა გ. ს. (VIII კლ. 27-ე ვაჟთა სკოლა); ბაბუნაშვილი (III მე-14 ვაჟთა სკოლა) და სხვები.

ისინი სათანადოდ არ აფასებენ ერთიანი ფორმის ტანსაცმელის აღმზრდელობითი მნიშვნელობას, არ ატარებენ ახსნა-განმარტებით მუშაობას მშობლებსა და მოსწავლეთა შორის ერთიანი ფორმის შესახებ, დამშვიდებით ეგუებიან ამ დარგში არსებულ უწესრიგობას და არ სახავენ ღონისძიებას მის გამოსასწორებლად.

მოსწავლეთა ერთიანი ფორმების გატარების წესების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლის დირექტორებმა:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის 22 ნოემბრის № 3469 ბრძანების შესაბამისად გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ერთიანი ფორმის მნიშვნელობის შესახებ მოსწავლეებსა და მშობლებს შორის და უზრუნველჰყონ აღნიშნულ ბრძანებაში ყველა მითითებათა განუხრელად გატარება;

ბ) დაავალონ კლასის ხელმძღვანელებს ყოველდღიურად მიაქციონ ყურადღება მოსწავლეთა ჩაცმულობას და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები ცხადდებოდნენ სკოლაში ერთიანი ფორმით, სუფთად და ზუსტად იცავდნენ ფორმის ტარების წესებს;

გ) პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე მოისმინონ ცალკეული კლასების ხელმძღვანელების ინფორმაცია კლასში ერთიანი ფორმის ტარების შესახებ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

დ) აკრძალონ საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში—კინო-თეატრებში, კლუბებში და სანახაობებზე მოსწავლეთა დასწრება მასწავლებელთა ხელმძღვანელობის გარეშე;

ე) მოსწავლეთა ფორმის ტარების წესების დაცვის საქმეში ფართოდ ჩააბან მოსწავლეთა და პიონერთა ორგანიზაციები.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ ფორმების ტარების წესების შესახებ განათლების სამინისტროს ზემოხსენებული ბრძანების შესრულებას და მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა სამინისტროს მითითებანი ფორმების ტარების წესების შესახებ სრულდებოდეს ყველა სკოლის მიერ;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ სკოლებში ამ დარგში არსებული მდგომარეობა, შემოწმების შედეგები მოისმინონ მასწავლებელთა თათბირებზე და იმ სკოლის დირექტორებისა და კლასის ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც გულგრილად მოეკიდებიან ფორმების საკითხს—მიიღონ ორგანიზაციული ზომები;

გ) მეთვალყურეობა დააწესონ კინო-თეატრებსა, კლუბებსა და სხვა სანახაობებზე მოსწავლეთა დასწრებაზე, არ დაუშვან ამ ადგილებზე მოსწავლეთა გამოცხადება მასწავლებლების ხელმძღვანელობის გარეშე და ამ წესის დარღვევის შემთხვევაში დირექტორების წინააღმდეგ მიიღონ ორგანიზაციული ზომები.

3. დაევალოს კლასის ხელმძღვანელებს:

გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშობლებსა და მოსწავლეებში ერთიანი ფორმების შემოღების მნიშვნელობის შესახებ და მიაღწიონ იმას, რომ სკოლებში მოსწავლეები ცხადდებოდნენ ფორმით, სუფთად და იცავდნენ ფორმის ტარების ყველა წესს. ამ საქმეში გულგრილობის გამოჩენისა და თავიანთი კლასის

მოსწავლეების მიერ ფორმის წესების დარღვევის შემთხვევაში მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება ორგანიზაციული ზომები მოხსნამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ 15 აპრილამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1949 წლის 1 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 248

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 16 თებერვალი.

რუსთავის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მუშაობის შესახებ.

შემოწმებით დადასტურდა, რომ რუსთავის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ირიცხებოდა 192 მოსწავლე, აქედან, ქართულ სექტორზე—121, რუსულზე—71. 89 მოსწავლის განთესვის გამო, სკოლაში ამჟამად ირიცხება 103 მოსწავლე, აქედან ქართულ სექტორზე—64 და რუსულზე 39. სკოლაში სრულიად არადამაკმაყოფილებელია გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრება, ადგილი აქვს მეცადინეობის მასობრივ გაცდენებს. ასე, მაგალითად, ა/წ 7/I სკოლაში გაკვეთილებზე გამოცხადდა სულ 49 მოსწავლე, ხოლო ქართულ VII კლასსა და რუსულ X კლასში მეცადინეობა ჩაიშალა მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა ერთი მთავარი მიზეზთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ როგორც მეტალურგიული ქარხნის, ისე განსაკუთრებით ამ ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელობა, აგრეთვე ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები საჭირო დახმარებას არ უწევენ სკოლას მუშა ახალგაზრდობის სწავლაში ჩაბმისა და დამაგრებისათვის, მეცადინეობაზე მათი დასწრების უზრუნველყოფისათვის, არ ზრუნავენ სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, არ იღებენ საჭირო ზომებს მოსწავლეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის და სხვ. ასე მაგალითად, ბინის სიშორის გამო საბინაო მშენებლობაზე („ჟილსტროი") აღრიცხულ და სწავლაში ჩაბმულ 16 ახალგაზრდიდან, გაკვეთილებს ესწრება მხოლოდ 6 კაცი, ხოლო საპროკატო ცეხის („პროკატსტროი") მშენებლობიდან ამავე მიზეზით სკოლიდან წავიდა 5 ახალგაზრდა. ლითონის კონსტრუქციათა ცეხიდან სწავლას თავი დაანება 5 მუშა ახალგაზრდამ და ა. შ.

ქარხნის სამმართველოდან სკოლაში ჩარიცხულ 15 მოსწავლიდან ორმა სრულებით დასტოვა სკოლა, ხოლო დანარჩენები ხშირად აცდენენ გაკვეთილებს პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე მეთი დატოვების გამო.

ქარხნის მშენებლობის დირექციის მიზეზით ჯერ კიდევ არ არის აღკვეთილი საზეგანაკვეთო სამუშაოზე მუშა ახალგაზრდობის გამოყენების ცალკეული შემთხვევები.

მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობის სუსტი დახმარების შედეგად მოუწესრიგებელია სკოლის განათების უზრუნველყოფის საქმეც, რის გამო გასული წლის დეკემბრისა და მიმდინარე წლის იანვრის თვეებში მეცადინეობა ჩაიშალა 8-ჯერ. ეს გარემოებანი სერიოზულ გავლენას ახდენენ სკოლაში მიმდინარე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაზე, კერძოდ, პროგრამული მასალის გავლისა და ათვისების ხარისხზე.

ამასთან ერთად, სკოლის ადმინისტრაციამ საჭირო ღონისძიებათა გატარებით ვერ უზრუნველჰყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოდ წარმართვა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლება. მაგალითად, ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში (ქიმია, ბიოლოგია და სხვ.) ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას პროგრამული მასალის გავლაში, არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მოსწავლეთა აკადემიური წარმატება; კერძოდ, სუსტია X კლასის მოსწავლეთა ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწ. გ. ქართველიშვილი), მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პოეტიკის საკითხებზე, ძალზე სუსტია მათი ცოდნა ქართული ენის გრამატიკაში: მოსწავლეები ვერ ერკვევიან წინადადების აღნაგობაში, ვერ არჩევენ მეტყველების ნაწილებს; ბრუნვისა და ზმნის ნიშნებს. ქართული სექტორის VIII კლასის მოსწავლეებს ქიმიაში (მასწ. ქურიძე) მკაფიო და ნათელი წარმოდგენა არა აქვთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მარტივი და რთული ნივთიერება, მარტივი ნივთიერება და ელემენტები, ელემენტთა ატომიანობა, სიმბოლოები, ნივთიერებათა ატომური წონა და სხვ.

სკოლაში სისტემატურად და გეგმიურად არ ეწყობა საკონტროლო წერითი სამუშაოები, არ წარმოებს თემების სწორად შერჩევა, ნაწერი ზერელედ სწორდება მასწავლებლების მიერ და სხვ.

სკოლაში არ წარმოებს მეთოდური მუშაობა, შექმნილი არ არის საგნობრივი მეთოდკომისიები, თუმცა ზოგიერთ საგანში საკმაოა ამისათვის მასწავლებელთა რიცხვი (მაგ. მათემატიკის მასწავლებელია 4, ქართული ენისა და ლიტერატურის—3, ბიოლოგია-ქიმიის—3), არ წარმოებს მეთოდური ხასიათის საკითხების განხილვა პედსაბჭოს

სხდომებზეც, სათანადოდ არ არის შედგენილი სკოლის წლიური სასწავლო-სააღმზრდელო და ზოგიერთი საგნის კალენდარული სამუშაო გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში დღემდე მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, დარღვეულია მიღებისა და ჩარიცხვის წესები. ზოგ შემთხვევაში სათანადოდ არ არის გაფორმებული გამოცდების, ჩარიცხულ მოსწავლეთა შემოწმების შედეგები.

რუსთავის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ სახალხო განათლების განყოფილება ჯერ კიდევ ვერ უწევს საჭირო დახმარებას და კონტროლს აღნიშნულ სკოლას მუშაობის ნორმალურად და სათანადო სიმაღლეზე წარმართვის საქმეში. აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. გ. ბაციკაძემ და სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ვ. ნიკოლაიშვილმა, აღნიშნული სკოლის მუშაობის არსებითად გარდაქმნის უზრუნველსაყოფად, გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ათი დღის ვადაში გადასინჯონ სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის წლიური გეგმა და ცალკეული დისციპლინების კალენდარული სამუშაო გეგმები ააგონ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად;

ბ) ჩამოაყალიბონ მეთოდური კომისიები ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში და უზრუნველჰყონ მათი სისტემატური მუშაობა;

გ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებს; დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

დ) სისტემატურად შეამოწმონ წერითი ნამუშევრების ნორმების შესრულება, მათი გასწორებისა და შეფასების ხარისხი;

ე) დააწესონ ზუსტი კონტროლი ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში პროგრამული მასალის მოსწრებისა და ათვისების ხარისხზე;

ვ) არსებითად გარდაქმნან პედსაბჭოს მუშაობა, რომლის სხდომებზე სისტემატურად განიხილონ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საკითხები, ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა საჭირო ღონისძიებათა დასახვითა და გატარებით;

ზ) სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო დოკუმენტაცია, კერძოდ, მოსწავლეთა პირადი საქმეები, საკლასო ჟურნალები, ბრძანებების წიგნი და სხვ.

თ) უზრუნველჰყონ წარმოებასთან მტკიცე და სისტემატური კავშირი მეცადინეობაზე მუშა ახალგაზრდობის დასწრების საკითხის მოწესრიგების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. რუსთავის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების გამგემ ამხ. ჰ. ოდილაძემ:

ა) დააწესოს მტკიცე და სისტემატური კონტროლი რუსთავის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მუშაობაზე, პერიოდულად შეამოწმოს ცალკეულ დისციპლინებში სწავლების მიმდინარეობა და გაუწიოს სკოლას საჭირო დახმარება;

ბ) მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელობასთან და მეტალურგიული ქარხნის დირექციასთან ერთად დასახოს ღონისძიებანი მუშა ახალგაზრდობის სკოლისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნის, სკოლის სათანადო მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მეცადინეობაზე მსმენელთა სისტემატურად დასწრების უზრუნველსაყოფად;

გ) პერიოდულად დააყენოს საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე მუშა ახალგაზრდობის სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

3. რუსთავის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების გამგემ ამხ. ა. ოდილაძემ და მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. გ. ბაციკაძემ, ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით, საქ. ალკკ რუსთავის საქალაქო კომიტეტთან ერთად დროგამოშვებით მოიწვიოს მოსწავლე მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელთა, საწარმოთა საამქროების უფროსებისა და პირველადი კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების გაერთიანებული თათბირი, რომელზედაც განიხილოს საკითხი მუშა ახალგაზრდობის სკოლის მუშაობის მიმდინარეობისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

4. დაისვას საკითხი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელობასა და ამავე ქარხნის დირექციის წინაშე:

ა) გაუწიონ საჭირო დახმარება მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას მოსწავლე მუშა ახალგაზრდობის მეცადინეობაზე დასწრების უზრუნველყოფისა და სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში; (გათბობა, განათება და სასწავლო კაბინეტებით უზრუნველყოფა);

ბ) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ცალკე გამოუყონ სასკოლო შენობის ახლოს საერთო საცხოვრებელი ბინა სწავლაში ჩაბმულ მუშა ახალგაზრდობას.

5. სკოლის მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური რუსთავის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. გ. ბაციკაძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ვ. ნიკოლაიშვილს.

ვაფრთხილებ მათ, რომ თუ ისინი უმოკლეს დროში გადაჭრით არ გააუმჯობესებენ მუშაობას და არ გამოასწორებენ სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს დაისმება საკითხი ამ თანამდებობებიდან მათი მოხსნის შესახებ.

6. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ გადასინჯოს რუსთავის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის პედაგოგიური პერსონალის შემადგენლობა არაკვალიფიციური და შეთავსებით მომუშავე მასწავლებლების სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებით შესაცვლელად, ამასთანავე განიხილოს საკითხი ზედმეტი გაკვეთილებიდან მასწავლებელთა განტვირთვის შესახებ.

7. ვავალებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების უფროსს ამხ. ა. გაბისონიას თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგები მომახსენოს მე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 245

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 16 თებერვალი.

რუსული ენის კურსების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.

რუსული ენის კურსების მდგომარეობისა და მუშაობის შემოწმების მასალებიდან ირკვევა, რომ ქ. თბილისში მიმდინარე სასწავლო წელს რუსული ენის კურსების მუშაობაში მოპოებულია ზოგიერთი წარმატება სწავლის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. კარგად მუშაობენ ორჯონიკიძის რაიონში პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს მუშაკთათვის ჩამოყალიბებული ჯგუფები. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩევა რაისაბჭოს მუშაკთა ჯგუფი (მასწავლებელი ამხ. ვ.ქუთათელაძე), რომელშიაც ირიცხება 11 კაცი. ამ ჯგუფში მსმენელთა დასწრება მეცადინეობაზე ნორმალურია, გაკვეთილები გეგმიურად და მეთოდურად სწორად ტარდება, მსმენელები საშინაო დავალებებს კარგად ასრულებენ, გავლილ მასალას თავისუფლად კითხულობენ და საკუთარი სიტყვებით ჰყვებიან. კარგია მსმენელთა წერითი ნამუშევრებიც.

კარგად მუშაობს აგრეთვე 26 კომისრების სახელობის რაიკომთან არსებული ჯგუფი, რომელიც აერთიანებს 13 კაცს (მასწავლებელი ამხ. ვ. ხვადაგაძე), ჯგუფში გაერთიანებულ მსმენელთა უმრავლესობა დაუფლებულია გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკას და შედარებით გამართული ენით პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე. ჯგუფში კარგად არის დაყენებული წერითი მუშაობა, რომელიც სისტემატურად ეწყობა შემდეგი სახეების მიხედვით: პასუხი კითხვებზე, კარნახი, ნაწარმოების მოკლე შინაარსის გადმოცემა, საქმიანი ქაღალდების შედგენა. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ზოგიერთი სხვა რაიონის ჯგუფებშიაც; მაგალითად, ბერიას სახელობის რაიონის მასწავლებელთა ჯგუფში (ხელმძღვანელი ამხ. გ. აკოფოვი) და სხვ. ამასთან ერთად რუსული ენის კურსების მუშაობას ახასიათებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. მიმდინარე სასწავლო წელს კურსების მუშაობა ყველგან არ იყო დროულად

დაწყებული და სათანადოდ ორგანიზებული. 1948/49 სასწავლო წელს თბილისში გეგმით უნდა ყოფილიყო 45 ჯგუფი, აქედან მეორე საფეხურის 30, ხოლო პირველი საფეხურის 15 ჯგუფი. ფაქტიურად კი მუშაობს პირველი საფეხურის 10 ჯგუფი, ხოლო მეორე საფეხურის 17 ჯგუფი. ასე, მაგალითად, სტალინისა და მოლოტოვის რაიონებში ნაცვლად 6-6 ჯგუფისა თითოეულში ჩამოყალიბებულია 3-3 ჯგუფი. ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფები დაგვიანებით იყო ჩამოყალიბებული. მაგალითად, ბერიას სახელობის რაიონში ჯგუფების მუშაობა განახლდა ოქტომბრიდან, კიროვის რაიონში მეცადინეობა დაიწყო 11 ოქტომბერს, ლენინის სახელობის რაიონის პირველი საფეხურის ჯგუფში მეცადინეობა დაიწყო 1 ოქტომბერს, 11 დეკემბრიდან დაიწყო მეცადინეობა კიროვის რაიონში, მეორე სტომატოლოგიურ პოლიკლინიკასთან შექმნილ ჯგუფში. სტალინის რაიონში ჯგუფები მეცადინეობას შეუდგნენ ა/წ 20 იანვრიდან.

ხშირ შემთხვევაში ცუდია მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება: მაგალითად, ბერიას სახელობის რაიონში ზოგიერთ ჯგუფში მეცადინეობას ყოველდღიურად ესწრება სამუალოდ 3-4 კაცი, კიროვის სახელობის რაიონში კი 2-3 კაცი. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი 26 კომისრების, მოლოტოვის, ლენინისა და სტალინის სახელობის რაიონებში. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციები, რომელთა მუშაკებიც ჩაბმულნი არიან რუსული ენის შემსწავლელ წრეებში, არ ღებულობენ საჭირო ზომებს მეცადინეობაზე მსმენელთა სისტემატურად გამოცხადების უზრუნველყოფისათვის.

იმ ჯგუფებში, სადაც მეცადინეობის გაცდენა ხშირია და კურსების მუშაობა საერთოდ მოუწესრიგებელია, პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. კურსების მსმენელებს სუსტად აქვთ შეთვისებული კითხვის ტექნიკა, სათანადოდ ვერ გებულობენ ტექსტის შინაარსს, დაუფლებულნი არ არიან გრამატიკულ წესებსა და წერით ნამუშევრებში ხშირად უშვებენ უხეშ შეცდომებს.

რუსული ენის კურსების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი შედეგია იმისა, რომ სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები სუსტად ხელმძღვანელობენ ამ საქმეს, სისტემატურად არ უწევენ კურსებს საჭირო დახმარებას, არ აყენებენ სათანადო ორგანოებში საკითხს კურსების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და ამ მიმართულებით არ ღებულობენ საჭირო ზომებს.

რუსული ენის კურსების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს თბილისის საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) დაუყოვნებლივ გადასინჯონ და უზრუნველჰყონ რუსული ენის კურსების ჯგუფების დაკომპლექტება მსმენელთა მტკიცე შემადგენლობით, პირველ რიგში, პარტიული და საბჭოთა აქტივიდან და მასწავლებელთაგან;

ბ) ორი კვირის განმავლობაში უზრუნველჰყონ რუსული ენის კურსების ჯგუფების გახსნა გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით და ახლად გახსნილი ჯგუფების დაკომპლექტება მსმენელებითა და კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრით;

გ) დააწესონ სისტემატური კონტროლი სწავლების ხარისხსა და მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების საქმეზე, მეცადინეობის გაცდენის შემთხვევებში დაადგინონ ამის მიზეზი და დასვან საკითხი, როგორც ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების, ისე წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა წინაშე იმის შესახებ, რომ მიღებულ იქნეს საჭირო ზომები გაცდენების აღკვეთისა და მეცადინეობაზე მსმენელთა ნორმალური დასწრების უზრუნველსაყოფად.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო პედაგოგიურ კაბინეტს სისტემატურად შეამოწმოს რუსული ენის კურსების მუშაობა, გაუწიოს მათ ადგილზე საჭირო მეთოდური დახმარება და გამოცდილების გაზიარების მიზნით პერიოდულად ჩაატაროს ხსენებული კურსების მასწავლებელთა მეთოდთათბირები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 253

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 17 თებერვალი

რუსული ენის კურსების მუშაობის შესახებ.

რუსული ენის კურსების მუშაობა მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში ორგანიზებულად დაიწყო. სახალხო განათლების ორგანოებმა, გაითვალისწინეს რა მოზრდილი მოსახლეობის მიერ რუსული ენის დაუფლების უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა, ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს. მაგალითად, მახარაძის, ორჯონიკიძის, კასპის, წულუკიძის, გეგეჭკორის, ახალციხის, ლაგოდეხის და მთელ რიგ სხვა რაიონებში, აგრეთვე ქ. ფოთში, რუსული ენის კურსებისათვის მსმენელთა ჩასაბმელი კონტინგენტი დროულად იყო აღრიცხული და სწავლაში ჩაბმული, მეცადინეობა რეგულარულად მიმდინარეობს, დასწრება გაკვეთილებზე ნორმალურია და საპროგრამო მასალის გავლა დამაკმაყოფილებელი.

კერძოდ, ორჯონიკიძის რაიონში ჩამოყალიბებულია რუსული ენის-კურსების ორი ჯგუფი 20 მსმენელით. მეცადინეობა 1 სექტემბერს დაიწყო და ნორმალურად მიმდინარეობს. მასწავლებლებად შერჩეულნი არიან სათანადო კვალიფიკაციის პედაგოგები: პირველი საფეხურის ჯგუფში—ამხ. ლ. დ. ჭიპაშვილი, პედაგოგიური მუშაობის 32 წლის სტაჟით, და მეორე საფეხურის ჯგუფში ამხ. ა. ი. კიკნაძე, პედაგოგიური მუშაობის 36 წლის სტაჟით. ჯგუფები უზრუნველყოფილია სათანადო ბინით და გათბობა-განათებით, მსმენელები სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით და სხვ. შემუშავებულია მეცადინეობის მტკიცე ცხრილი, მასწავლებლებს აქვთ სამუშაო გეგმები და პროგრამები.

რუსული ენის კურსების მუშაობა კარგად არის დაყენებული აგრეთვე მახარაძის რაიონში, სადაც ჩამოყალიბებულია ოთხი ჯგუფი 43 მსმენელით. კურსები უზრუნველყოფილია მუშაობისათვის

საჭირო პირობებით, მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. მასწავლებლები ავარჯიშებენ მსმენელებს სასაუბრო ენაში, სისტემატურად ატარებენ წერითი მუშაობას. მსმენელებს გავლილი მასალა მტკიცეთ აქვთ შეთვისებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამასთან ერთად ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებელია რუსული ენის კურსების ჩამოყალიბებისა და ამ კურსებზე მეცადინეობის მიმდინარეობა, მაგალითად, მცხეთის, ახალქალაქის, საჩხერის, საგარეჯოს, ჭიათურის, ახმეტის, ხობის, ყვარლის რაიონებში ჯგუფები ჩამოყალიბდა მხოლოდ გასული წლის ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში, ისიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ჩარევის შედეგად. მიუხედავად მიღებული ზომებისა, კურსები ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული ქარელის, სიღნაღის, ჩოხატაურის, მარნეულის, წალკის, ბოგდანოვკის რაიონებში, ქალაქ ჭიათურასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ზოგ რაიონში ჯგუფები ჩამოყალიბებულია არა გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით. მაგალითად, ქალაქ ქუთაისში შექმნილია 8 ჯგუფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ჯგუფისა; აბაშის, გურჯაანის, დუშეთის, ონის, ტყიბულისა და ცაგერის რაიონებში თითო ჯგუფი, ნაცვლად ორისა; ზუგდიდისა და ხაშურის რაიონებში ორ-ორი ჯგუფი, ნაცვლად ოთხისა; თელავის რაიონში სამი ჯგუფი ნაცვლად ოთხისა; აფხაზეთის ასსრ-ში ერთი ჯგუფი, ნაცვლად ოთხისა.

რიგ შემთხვევაში სუსტია მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება. მაგალითად, გურჯაანის, დუშეთის, ჩხარის, ზესტაფონის რაიონებში მეცადინეობას ესწრება მსმენელების 40—50 პროცენტი. ამასთანავე იმ ჯგუფებში, სადაც მუშაობა დაგვიანებით დაიწყო არაა უზრუნველყოფილი ნორმალური მეცადინეობა, ადგილი აქვს ჩამორჩენას საპროგრამო მასალის გავლაში.

სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილება საკმაო ზომებს არ ღებულობს მეცადინეობის ნორმალურად ჩატარების უზრუნველსაყოფად, არ აყენებს სათანადო ორგანოებში საკითხს მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების შესახებ, სისტემატურად არ ამოწმებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლის მიმდინარეობას და შეთვისების ხარისხს. აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს:

ა) უმოკლეს ვადაში შეამოწმონ რუსული ენის კურსების მდგომარეობა, გადასინჯონ არსებული ჯგუფების მსმენელთა შემადგენლობა, უზრუნველჰყონ მათი სწორად დაკომპლექტება და მუშაობის ნორმალურად წარმართვა;

ბ) დასვან საკითხი ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებასა ხელმძღვანელების წინაშე იმ მსმენელთა შესახებ, რომლებიც სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას და ერთობლივი ღონისძიებების გატარებით მიაღწიონ მეცადინეობაზე მსმენელთა უკლებლივ დასწრებას;

გ) სისტემატურად შეამოწმონ კურსებზე გავლილი მასალის მოცულობა, მისი შეთვისების ხარისხი, მიიღონ საჭირო ზომები პროგრამით გათვალისწინებული მასალის ნორმალურად გავლისა და მსმენელებში პრაქტიკული ჩვევების მტკიცედ დანერგვისათვის (საქმიანი ქაღალდებისა და მოხსენებების შედგენა, კედლის გაზეთებისათვის მასალების დამზადება, ანკეტების შევსება და სხვა.);

დ) პერიოდულად დააყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე კურსების მუშაობის ნორმალურად წარმართვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა გატარების შესახებ.

2. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ სამხრეთ-ოსეთის საოლქო, ქუთაისისა და ჭიათურის საქალაქო, აბაშის, ახალქალაქის, გურჯაანის, დუშეთის, ონის, ტყიბულის, ცაგერის, ზუგდიდის, ხაშურისა და თელავის რაიონების განათლების განყოფილებებმა უმოკლეს ვადაში ჩამოაყალიბონ რუსული ენის კურსების ჯგუფები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით და ჩააბან ამ ჯგუფებში მსმენელთა დაგეგმილი კონტინგენტი.

3. ვავალებ პირადად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს უზრუნველჰყონ რუსული ენის კურსებზე ჩაბმული სახალხო განათლების მუშაკთა სისტემატური დასწრება მეცადინეობაზე, მიიღონ მკაცრი ზომები მეცადინეობის გამცდენთა და მათ წინააღმდეგ, ვინც არ იჩენს საჭირო მონდომებასა და პასუხისმგებლობას რუსული ენის მაღალხარისხოვნად დაუფლების საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 409

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 9 მარტი.

მასწავლებლების ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენისათვის ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გავეცანი რა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 12 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების მიერ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მასწავლებლების, დირექტორების (გამგეების), სასწავლო ნაწილის გამგეების და განათლების ორგანოებში მომუშავე მასწავლებლების უწყვეტი და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრკ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენისათვის ჩატარებული მუშაობის მასალებს, აღვნიშნავ, რომ სარაიონო და საქალაქო სახალხო განათლების განყოფილებათა დიდი უმრავლესობა ძირითადად მომზადებული შეხვდა და სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ მეტად დიდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების გატარებას, რის შედეგად მუშაობა მაღალხარისხოვნად იქნა შესრულებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების აბაშის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძის, მახარაძის, ზესტაფონის, გალის, ხაშურის, გორისა და სიღნაღის სახალხო განათლების განყოფილებათა მიერ ჩატარებული მუშაობა.

ამავე დროს, ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ბოგდანოვკის—აკოფიანი, ყაზბეგის—ხახლიშვილი, ცაგერის—სვანიძე, გუდაუთის—ჩიქოვანი, ჩხარის—ნიკოლაძე) ვერ გამოიჩინეს სათანადო პასუხისმგებლობა მასწავლებელთა ჯილდოზე წარდგენის საქმეში, არ დაიცვეს ჯილდოზე წარდგენის ინსტრუქციის მოთხოვნები და მასალების წარმოდგენის დადგენილი ვადები, ხოლო ქვ. სვანეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ, ონიანმა, სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ამ საქმეში. მიუხედავად მრავალგზისი გაფრთხილებისა მან უხეშად დაარღვია დასა-

ჯილდოებელ მასწავლებელთა მასალების წარმოდგენის ვადები, (განათლების სამინისტროში მასალები წარმოადგინა მხოლოდ 1949 წლის 18 იანვარს და ისიც უხარისხოდ დამუშავებული), რის გამოც მოუხერხებელი შეიქმნა ქვ. სვანეთის რაიონის მასწავლებლების სსრკ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენა რესპუბლიკის მასწავლებლებთან ერთად.

ჯილდოზე წარდგენილი იყო 6.392 მასწავლებელი, მათ შორის ლენინის ორდენზე—849, შრომის წითელი დროშის ორდენზე—642, „საპატიო ნიშნის" ორდენზე—833, მედალზე „შრომითი მამაცობისათვის"—1.513, მედალზე „შრომითი წარჩინებისათვის"—2.555 მასწავლებელი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ა/წლის 2 მარტის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა 6.365 მასწავლებელი. მათგან: ლენინის ორდენით—855, შრომის წითელი ორდენით—634, „საპატიო ნიშნის" ორდენით—824, მედლით „შრომითი მამაცობისათვის"—1.520, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"—2.532 მასწავლებელი. ჯილდოზე წარდგენილთაგან 17 მასწავლებლის საბუთი დაბრუნებულ იქნა უკან ახლად გასაფორმებლად ზოგიერთი სათანადო საბუთების უქონლობის გამო, 10 მუშაკს უარი ეთქვა ჯილდოზე, ამათგან 7-ს დაკავებულ თანამდებობისა, ხოლო სამს სტაჟის წყვეტილობის გამო.

შემდეგი წყების მასწავლებელთა დაჯილდოების საქმის კიდევ უფრო უკეთ და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) დააზუსტონ იმ მასწავლებელთა უწყვეტი და უმწიკვლო მუშაობის მასალები, რომელნიც დღემდე არ არიან წარდგენილი სსრკ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად (მოზრდილთა, სოფლისა და მუშა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა ჩათვლით);

ბ) სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 12 თებერვლის ბრძანებულებისა და ინსტრუქციის შესაბამისად მოიყვანონ სრულ წესრიგში იმ მასწავლებელთა სსრკ ორდენებითა და მედლებით ჯილდოებზე წარსადგენი მასალები, რომლებიც 1949 წლის 1 სექტემბრისათვის უნდა იქნენ წარდგენილნი ჯილდოზე.

გ) სსრკ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარსადგენ თითოეულ მასწავლებელზე შეადგინონ დაჯილდოების ფურცელი

ორ ცალად, დებულებით გათვალისწინებულ დადგენილებისა და ნამსახურობის დამადასტურებელი დოკუმენტების თანდართვით და წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებაში 1949 წლის 10 მაისამდე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას, 1949 წლის 1 ივლისამდე დაამუშაოს ადგილებიდან წარმოდგენილ მასწავლებელთა ჯილდოზე წარსადგენი მასალები და გაამზადოს ის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარსადგენად.

3. ვავალებ ჩემს მოადგილეს ამხ. ი. ბეროზაშვილს გაუწიოს ხელმძღვანელობა მასწავლებელთა ჯილდოზე წარდგენის ორგანიზაციის საქმეს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას რესპუბლიკის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისა და განათლების ორგანოებში მომუშავე მასწავლებელთა სსრკ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები გაითვალისწინოს მიმდინარე წლის ბიუჯეტში.

5. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური მშრომელთა დეპუტატების ქვემო-სვანეთის რაიონის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს გრიგოლ ონიანს მასწავლებელთა სსრკ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენისათვის საჭირო მასალების დაგვიანებით წარმოდგენისათვის, რის გამოც ხსენებული რაიონის მასწავლებლები არ იქნენ დაჯილდოებული.

6. გაფრთხილებულ იქნან: ბოგდანოვკის, ცაგერის, ყაზბეგის, გუდაუთის და ჩხარის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები ნ. აკოპიანი, გ. სვანიძე, ვ. ხახლიშვილი, ჩიქოვანი, გ. ონიანი და ე. ნიკოლაძე, რომ თუ ისინი მაღალი პასუხისმგებლობით არ მოეკიდებიან მასწავლებელთა სსრკ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეს, და არ უზრუნველჰყოფენ ახლად წარსადგენთა ყველა მასალის დროულად წესრიგში მოყვანას, მათ მიმართ მიღებული იქნება სასჯელის მკაცრი ზომები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ფ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 245

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 15 თებერვალი.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის შესახებ.

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის რიგი რაიონების (ლანჩხუთის, ცხაკაიას, საჩხერის, მაიაკოვსკის, ქობულეთის, წულუკიძის, სამტრედიის, მახარაძის, ზუგდიდის და სხვა) სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები დამაკმაყოფილებლად მოემზადნენ ახალი 1948-49 სასწავლო წლისათვის. განათლების განყოფილებებმა დროულად დასახეს და გაატარეს საჭირო ღონისძიებანი მიმდინარე სასწავლო წლის შესახვედრად, უზრუნველჰყვეს სკოლები კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, დროულად აღრიცხეს და ჩააბეს სწავლაში კოლმეურნე ახალგაზრდობა, მოამარაგეს სკოლები სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, განათებითა და გათბობით, სისტემატურად აყენებენ საკითხს ადგილობრივი ხელმძღვანელ პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე, აგრეთვე კომკავშირისა და კოლმეურნეობათა გამგეობების წინაშე სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის მუშაობის საჭირო პირობების შექმნის შესახებ, ამასთან ერთად განათლების განყოფილებათა ორგანიზაციული და მეთოდური დახმარებისა და სკოლების პედკოლექტივების ენერგიული მუშაობის შედეგად მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში, დროულად არის შედგენილი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის წლიური და ცალკეული დისციპლინების კალენდარული სამუშაო გეგმები. ამ მხრივ მოწინავე სკოლებს შორის აღსანიშნავია ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ზერაბოსელის სკოლები (დირ. ვ. კისელიოვი, ჩ. ძიძიგური), ბათუმის რაიონის ურეხის სკოლა (დირ. არ. თებიძე), ქედის რაიონის მერისისა და ხარაულის სკოლები (დირ. ხ. თურმანიძე, დ. გვალია) საჩხერის რაიონის სარეკის სკოლა (დირ. კ. სიმონიშვილი), ჩხარის რაიონის სოფ. სიქთავრის, სამტრედიის რაიონის ეწერმელაურის, წულუკიძის რაიონის დიდი კუხის, ცხაკაიას რაიონის სოფ. შხეფის სკოლები.

რიგ რაიონების სკოლებში კარგად არის დაყენებული ცალკეული დისციპლინების სწავლების საქმე. ასე, მაგალითად, სათანადოდ არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ხობის რაიონის ქვემო ქვალონის სკოლის მე-7 კლასში, რომლის მოსწავლეები გამართული ქართული ენით გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს, სწორად აანალიზებენ მის იდეურ-მხატვრულ მხარეებს. კარგად არიან დაუფლებულნი ქართული ენის გრამატიკის წესებს ამავე სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები და სხვ.

დამაკმაყოფილებელია მათემატიკის სწავლება ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში, სადაც მე-6 კლ. მოსწავლეებს სწორი და ნათელი წარმოდგენა აქვთ წესიერ და უწესო წილადებზე, კოეფიციენტებსა და ხარისხის მაჩვენებლებზე. ასევე ჯეროვან სიმაღლეზეა არითმეტიკის სწავლება ცხაკაიას რაიონის სოფ. შხეფის სკოლაში, ალგებრისა და გეომეტრიის სწავლება ზუგდიდის რაიონის სოფ. დარჩელის სკოლაში და სხვ.

ამასთან ერთად ზოგიერთი რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. ამ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სოფლის ახალგაზრდობის რიგი სკოლების დირექტორების ცუდი მუშაობის შედეგად აღნიშნული სკოლები მოუმზადებელნი შეხვდნენ მიმდინარე სასწავლო წელს. მათ ვერ შესძლეს სკოლის ასაკის ახალგაზრდების სრულად აღრიცხვა და სწავლაში ჩაბმა, გასული წლის კონტინგენტის შენარჩუნება და სხვ. მაგ. ხულოს რაიონის სოფ. დიდაჭარის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (დირ. ს. თავართქილაძე) მეცადინეობა 1 ნოემბერს არ დაწყებულა, ხოლო ქედლების სოფ. ახალგაზრდობის სკოლა მთლიანად დაიხურა. მოუწესრიგებელი იყო სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის აღრიცხვისა და სწავლაში მისი ჩაბმის საქმე ჭიათურის რაიონში, სადაც სოფ. ზედაუბანში აღურიცხველი დარჩა სასკოლო ასაკის 58 ახალგაზრდა. სოხუმის რაიონის სოფ. პავლოვკის სოფლის ახალგაზრდობის სკოლისათვის აღრიცხულ 52 ახალგაზრდიდან სკოლაში ჩაბმულია მხოლოდ 13.

ზოგიერთ რაიონში დღემდე ისევ გრძელდება კოლმეურნეობათა მიერ სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეთა შორეულ სამუშაოებზე გაგზავნის პრაქტიკა. მაგალითად, ჩხარის რაიონის სოფ. ქვედა ალისუბნის მე-8 კლ. მოსწავლე თურქაძე გაგზავნეს ზესტაფონში 4 დღით, მოსწ. გ. მანიაშვილი კოლმეურნეობის ბრიგადირია, რომელსაც კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. ბოჭორიშვილი გაკვეთილზე დასწრების საშუალებას არ აძლევს.

რიგ რაიონებში მოუწესრიგებელი იყო სოფლის ახალგაზრდობის სკოლები შესაფერისი ბინებით, საწვავით, განათებით უზრუნველყოფის საქმე. ასე, მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სოფ. კლდეეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირ. ვ. ბედიაშვილი) სამი კლასი მოთავსებული იყო მასობრივი სკოლის პიონერთა ოთახში, ბიბლიოთეკაში და საწყობში. ქვ. სვანეთის სოფ. ჩიხარეშის სკოლის (დირ. გაბიანი) მეცადინეობა დაუმთავრებელ სასკოლო ბინაში წარმოებს. ამავე რაიონის სოფ. ჟახუნდრის, ჩოლარის, საშაშის, ცაგერის რაიონის ლასურიაშის და აღვის, წყალტუბოს რაიონის წყალტუბოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლები მომარაგებულნი არ არიან შეშით, ნათურებით, ნავთით.

რიგ რაიონებში (ჩხარის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წყალტუბოს, ჭიათურის და ხობის) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1948/49 სასწავლო წელს ვერ უზრუნველჰყვეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლები საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოუწესრიგებელია და საჭირო სიმაღლეზე არ დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ რიგ შემთხვევაში სათანადოდ შედგენილი არა აქვთ სასწავლო-სააღმზრდელო და ცალკეული საგნების წლიური და კალენდარული სამუშაო გეგმები. ზოგჯერ მასწავლებლები მოუმზადებელნი შედიან გაკვეთილებზე და საკლასო ჟურნალების უქონლობის გამო მოსწავლეთა აღრიცხვას უბრალო რვეულებში აწარმოებენ. რიგ შემთხვევებში მოუმზადებლად ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომებიც. მაგალითად, ქვემო სვანეთის ჩიხარეშისა (დირ. გაბიანი) და ცაგერის რაიონის სოფ. ლასურიაშის (დირ. ჩხეტიანი) სკოლებს სამუშაო გეგმები არ მოეპოვებათ. გაკვეთილების ცხრილით მე-7 კლასებში ნაცვლად კვირეული 22 საათისა გათვალისწინებულია 21 საათი, ხოლო მე-8 კლასის ცხრილში შეტანილია 23 კვირეული საათი. ამასთანავე ცხრილში, როგორც წესი, გაკვეთილები გაწყვილებულია. ამ სკოლებს თავისი სამუშაო გეგმები არა აქვთ და მუშაობას აწარმოებენ მასობრივი სკოლის გეგმების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ჩიხარეშისა და ლასურიაშის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორები პედსაბჭოს სხდომებს ადგილობრივი მასობრივი სკოლების პედსაბჭოს სხდომებთან აერთიანებენ და ოქმიც ერთი იწერება.

მასწავლებელთა მომზადების დაბალი დონისა, გაკვეთილების გეგმების უქონლობისა და გაკვეთილებზე მოუმზადებლად გამო-

ცხადების გამო რიგი რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ცალკეული საგნების სწავლების საქმე. ასე, მაგალითად, სოხუმის რაიონის ყოფ. თავისუფლების დაწყებითი სკოლის 1 კლასში (მასწ. ნ. კიკალეიშვილი) ცუდად არის დაყენებული არითმეტიკის სწავლება. ამ საგანში არ სრულდება წერითი მუშაობის ნორმები (9/11—17/12-დე წერა 11 ჯერ არის ჩატარებული). მოსწავლეების მიერ ნამუშევრებში დაშვებული უხეში შეცდომები მასწავლებლის მიერ არ სწორდება და ამ ნამუშევრების შეფასებაც არა სწორია. მაგალითად, მოწაფე წერს, რომ „4+4=6" და მასწავლებლის მიერ ეს ნამუშევარი შეფასებულია „4-ზე". მაღალი ნიშნით არის აგრეთვე შეფასებული წერითი ნამუშევრები არითმეტიკაში ამავე სკოლის III კლასში (მასწ. ს. ახალაია).

რიგი რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დაბალი დონე იმითაც უნდა აიხსნას, რომ მასწავლებლები არ ითვალისწინებენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სპეციფიკური მეთოდების მომარჯვების საჭიროებას, ხოლო განათლების განყოფილებისა და სკოლის დირექტორების მხრივ სუსტია კონტროლი და დახმარება სკოლებისა და მასწავლებელთა მიმართ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ-ოსეთის საოლქო, ზემო სვანეთის, ონის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, წყალტუბოს, ჭიათურის და ხობის სარაიონო-სახალხო განათლების განყოფილებებმა სისტემატურად შეამოწმონ სოფლის-ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, საპროგრამო მასალის გავლის მდგომარეობა, გავლილი მასალის შეთვისების ხარისხი, წერითი ნამუშევრების გასწორებისა და წერითი ნორმების შესრულების მდგომარეობა და გაუწიონ მასწავლებლებს საჭირო დახმარება სწავლების ხარისხის სათანადოდ წარმართვის საქმეში.

2. ცაგერისა და ქვემო სვანეთის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად. ამასთან ერთად უზრუნველჰყონ სკოლები სათბობით, განათებით, შესაფერისი ბინებით და ყოველმხრივ შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები.

3. წინადადება მიეცეს ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩიხარეშის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირ. გაბიანს, ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაშის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირ. ჩხეტიანს მიიღონ გადამჭრელი ზომები აღნიშნული სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში გამოსასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ მიღებულ იქნება სათანადო ადმინისტრატიული ზომები.

4. ზესტაფონის რაიონის კლდეეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა ვ. ბედიაშვილმა გააძლიეროს ხელმძღვანელობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაზე და ისე წარმართოს მისი მუშაობა, რომ უმოკლეს დროში გამოასწოროს დღემდე არსებული ნაკლოვანებანი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს გაითვალისწინოს თავის სამუშაო გეგმაში კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის მეთოდური დახმარების გასაწევად.

6. მიეთითოს ჩხარის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წყალტუბოს, ჭიათურის და ხობის სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებათა გამგეებს, რომ 1948—1949 სასწ. წელს მათ ვერ უზრუნველჰყვეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლები სახელმძღვანელო წიგნებით და სხვა სასწავლო ნივთებით.

ვავალებ ყველა რაიონის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს გაითვალისწინონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა მეცადინეობის სპეციფიკური პირობები და უზრუნველჰყონ ისინი სახელმძღვანელო წიგნებითა და მასალებით მასობრივი სკოლის მოსწავლეთა თანაბრად.

7. სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ სისტემატურად შეამოწმოს ადგილებზე სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და გაუწიოს მათ საჭირო დახმარება მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჯულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 413

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 11 მარტი.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.

თელავის, სიღნაღის, ყვარლის, ახმეტის, წითელწყაროს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, კაჭრეთისა და გურჯაანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამ რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მნიშვნელოვან ნაწილს გარკვეული მიღწევები აქვს. ადგილობრივი სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობები საჭირო დახმარებას უწევენ სკოლებს სწავლაში ჩასაბმელი კონტინგენტის აღრიცხვისა და სკოლებში ჩარიცხულთა შენარჩუნების საქმეში. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა თავის დროზე მოამარაგეს მოსწავლეები სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო ნივთებით, უზრუნველჰყვეს სკოლები გათბობით, განათებით, ბინებით, შეურჩიეს მათ კვალიფიციური პედაგოგიური კადრები, სასკოლო მუშაობა ჩააყენეს ნორმალურ კალაპოტში, რის შედეგად მთელ რიგ სკოლებში მოპოებულია თვალსაჩინო წარმატებანი საორგანიზაციო და სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის საგარეჯოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირ. ქ. გვარამაძე) კლასები ნორმალურად არის დატვირთული (5 კლასი 82 მოსწავლეს აერთიანებს). ამავე რაიონის ნინოწმინდის სკოლაში (დირ. ქ. ჯიღაური) ყველა მოსწავლეზე შედგენილია პირადი საქმე, მოწესრიგებულია სასკოლო დოკუმენტაცია, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები საგამოცდო ფურცლები წესიერად არის გაფორმებული, ცალკეული სასწავლო დისციპლინების სამუშაო გეგმები სათანადოთ პასუხობენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მუშაობის თავისებურ პირობებს. გაკვეთილების ცხრილი წესიერად არის შედგენილი. მთელ რიგ სკოლებში სათანადო ყურადღება ექცევა მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობას. მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ სასწავლო დისციპლინებს. მაგ. საგარეჯოს რაიონის სოფ. გიორგი-

წმინდის სკოლაში (დირ. ს. ტომარაძე) დამაკმაყოფილებელია VI კლ. მოსწავლეთა ცოდნის დონე ბუნებისმეტყველებაში (მასწ. კ. კევლიშვილი) ძველი მასალა „წყალმცენარეები“ მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ, ამავე დროს ახალი მასალაც ძირითადად გაკვეთილზევე აითვისეს.

გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის სკოლის VII კლასში ქართული ენის გაკვეთილზე მასწ. გ. ბაზილაშვილმა მოახერხა მთელი კლასი ჩაება მუშაობაში და მოსწავლეებიც დასმულ კითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლეოდნენ. თვით მასწავლებელი კარგად არის დაუფლებული ქართულ ენას.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ახმეტის რაიონის დუისის სკოლაში (დირ. ზ. გერგაულიშვილი), აწყურის სკოლა (დირ. გ. არსენიშვილი), ყვარლის რაიონის ჭიკაანის სკოლა (დირ. მ. რამიშვილი) თელავის რაიონის იყალთოს და სიღნაღის რაიონის ანაგის სკოლები.

ამასთან ერთად ზოგიერთი რაიონის რიგ სკოლებში არადამაკმაყოფილებელია როგორც საორგანიზაციო ხასიათის, ისე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები გულგრილად ეკიდებიან სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს და არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას.

არასაკმაოა აგრეთვე დახმარება და ხელმძღვანელობა ამ სკოლებზე ადგილობრივი განათლების განყოფილებათა მხრივ, რის გამო ამ სკოლების მუშაობას ახასიათებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

მაგალითად, ახმეტის რაიონის მატანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირ. გ. ტერტერაშვილი) მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, საწერი მოწყობილობით და სხვა სასწავლო ნივთებით, კერძოდ V კლასის 15 მოსწავლიდან ქართული ენის სახელმძღვანელო მხოლოდ 5 მოსწავლეს აქვს; VIII კლ. 15 მოსწავლიდან რუსული ენის სახელმძღვანელო მხოლოდ 4 მოსწავლეს აქვს, ხოლო ფიზიკაში სულ 6 ცალი წიგნი მოიპოება. კარადის უქონლობის გამო სასკოლო დოკუმენტებს, მოსწავლეთა პირად საქმეებს, საკლასო ჟურნალებს და სხვ. დირექტორი ხელით ატარებს; 29/XI-სათვის საკლასო ჟურნალები ყველა კლასისა გაფორმებული არ იყო, 122 მოსწავლის პირადი საქმიდან წესრიგშია მხოლოდ 83 მოსწავლის პირადი საქმე.

კიდევ უფრო მოუწესრიგებელია სასკოლო საქმიანობა ყვარლის რაიონის ენისელის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში. ამ სკოლის

სამოქმედო რაიონში აღრიცხულ 110 მოსწავლიდან სწავლაში ჩაბმულია 72 მოსწავლე. შემოწმების მომენტში სკოლას წესრიგში არ ჰქონდა საკლასო ჟურნალები, არ იყო შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, არ მოიპოებოდა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმა. მასწავლებლები სისტემატურად არ ადგენენ გაკვეთილების გეგმებს, სუსტია სკოლაში მეთოდური მუშაობა, სკოლის პედკოლექტივი არ იცნობს ზემდგომი ორგანოების დადგენილებებსა და ბრძანებებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შესახებ. სკოლა არ არის უზრუნველყოფილი განათებითა და გათბობით. ანალოგიური მდგომარეობა იყო საგარეჯოს რაიონის პატარძეულის სკოლაში, სადაც მოსწავლეთა განთესვის შედეგად სკოლა დაიხურა.

გურჯაანის რაიონის ურიათუბნის სკოლას (დირ. გ. დვალიშვილი) არცერთი ცალი სახელმძღვანელო არ მიუღია, რადგან სახელმძღვანელოები წინასწარ დაჯავშნული არ იყო. გარდა ამისა, ამ სკოლის მოსწავლეები სისტემატურად იგზავნებიან შორეულ სამუშაოებზე, რის გამო კერძოდ, VI კლ. მოსწავლე დვალიშვილმა გააცდინა 5 დღე, V კლ. მოსწავლემ მანუჩაროვმა 6 დღე და ა. შ.

ახმეტის რაიონის მატანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VI კლასის მოსწავლეთა უმრავლესობას ქართულ ენაში (მასწ. გ. ტერტერაშვილი) არა აქვს საკონტროლო წერის რვეულები, 4 საკლასო წერას რვეულის ცალკე ფურცლებზე აწარმოებენ, არ ხდება მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება, წერის ნორმები არ არის დაცული. ანალოგიური მდგომარეობაა ამ სკოლის V კლასშიც. საწერი თემები V კლასისათვის არ არის შერჩეული, მოსწავლეების მიერ არ წარმოებს მითითებული შეცდომების გასწორება, წერითი ნამუშევრების რვეულები ძალზე უსუფთაოა და სხვ.

გურჯაანის რაიონის ურიათუბნის სკოლის VII კლასში (მასწ. თუშიშვილი) მთელი გაკვეთილი ძველი მასალის „სინტაქსური კავშირის" გამეორებას მოხმარდა. დაბალია ამ კლასში მოსწავლეთა მომზადების დონე ქართულ ენაში. კითხვაზე, თუ „რას ეწოდება სინტაქსური კავშირი", ვერც ერთმა მოსწავლემ პასუხი ვერ გასცა. IV კლასშიაც მოსწავლენი ცუდად მეტყველებენ, უშვებენ ენობრივ შეცდომებს, რაც მასწავლებლის მიერ არ სწორდება. თითქმის ყველა მოსწავლე ასეთ შეცდომას უშვებს „დავითმა ჯარი ისესხა", „დაწყების" ნაცვლად ხმარობენ „დაწყობას" და სხვ.

ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის სკოლის VIII კლასის მოსწავლენი მოუმზადებელ არიან ისტორიაში (მასწ. ბადრიაშვილი).

ცხრილით გათვალისწინებულ ისტორიის გაკვეთილის ნაცვლად მასწავლებელმა გაკვეთილი ჩაატარა კონსტიტუციაში, რითაც თავი აარიდა ისტორიის გაკვეთილის ჩატარებას. ამხ. ბადრიაშვილი ამ სკოლის დირექტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ სკოლებს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში არცერთი სახელმძღვანელო წიგნი არ გააჩნია, ზოგ კლასში მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოა, რის შედეგად მთელ რიგ საგნების სწავლება ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. კერძოდ, არ არის აღკვეთილი ფორმალიზმი სწავლებაში; გეოგრაფია ისწავლება რუკის გარეშე, ხოლო ფიზიკა, ქიმია და ბუნებისმეტყველება ზეპირწიგნურად. არ ტარდება მუშაობა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებისათვის. აღნიშნულის შედეგად მოსწავლეები ვერ ერკვევიან სასწავლო დისციპლინების ელემენტარულ საკითხებში, დაბალია მათი წერისა და ზეპირი მეტყველების კულტურა და ა. შ.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღკვეთისა და ამ სკოლებში მიმდინარე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველჰყონ მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაზე; სისტემატურად შეამოწმონ ცალკეულ დისციპლინებში მოსწავლეთა ცოდნის დონე, ზუსტად დაადგინონ საპროგრამო მასალის გავლის, წერითი ნორმების შესრულებისა და წერითი ნამუშევრების გასწორების, აგრეთვე გავლილი მასალის გამეორების მდგომარეობა და გაუწიონ ადგილებზე სკოლებს სათანადო დახმარება არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში.

2. გურჯაანის რაიონის სოფ. ურიათუბნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა ამხ. გ. დვალიშვილმა მტკიცე კავშირი იქონიოს ადგილობრივი კოლმეურნეობის გამგეობასთან და ერთობლივი ღონისძიებათა გატარებით მიაღწიოს შორეულ სამუშაოებზე მოსწავლეთა გაგზავნის შემთხვევათა აღკვეთას, მიიღოს ამასთანავე გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით მეცადინეობის გაცდენისა და გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევათა წინააღმდეგ.

3. აღინიშნოს, რომ ყვარელის რაიონის სოფ. ენისელის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი ამხ. თ. ნაცვლიშვილი ზემოაღნიშნულ სკოლაში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ცუდად დაყენებისათვის ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილების

მიერ განთავისუფლებულია სამუშაოდან და მის ნაცვლად სკოლის დირექტორად დანიშნულია ამხ. ჟ. არჯევანიძე. დაევალოს ამხ. ჟ. არჯევანიძეს უმოკლეს ვადაში წესრიგში მოიყვანოს მოსწავლეთა პირადი საქმეები, პირადად გადასინჯოს მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, შეკრიბოს სათანადო საბუთების გარეშე ჩარიცხულ მოსწავლეთაგან საჭირო დოკუმენტები და, საერთოდ, უზრუნველჰყოს სასკოლო დოკუმენტაციის წესიერად წარმოება, მოვლა და დაცვა.

ყვარლის რაიონის სახ. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. მ. ბართაიამ პირადად შეამოწმოს ენისელის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მუშაობა, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი და ამ ღონისძიების შესრულებისა და, საერთოდ, ამ სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგები განიხილოს პედსაბჭოს სხდომაზე არა უგვიანეს ა/წ 15 მარტისა.

4. მიეთითოს ახმეტის რაიონის სოფ. მატანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს ამხ. გ. ტერტერაშვილს სკოლაზე ცუდი ხელმძღვანელობისათვის, რის გამო თავის დროზე ვერ იქნა უზრუნველყოფილი სახელმძღვანელო წიგნებით მოსწავლეთა მომარაგება, მოსწავლეთა პირადი საქმეების წესრიგში მოყვანა, საკლასო ჟურნალში აღრიცხვიანობის წესიერად წარმოება და სხვ. კატეგორიულად ვავალებ ამხ. ტერტერაშვილს ძირითადად გარდაქმნას თავისი ხელმძღვანელობა მატანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაზე, სისტემატურად განიხილოს პედსაბჭოს სხდომებზე ამ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, სწავლების მიმდინარეობა ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში და მიიღოს საჭირო ზომები მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

ამავე გ. ტერტერაშვილმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა წერითი და ზეპირმეტყველების კულტურის ამაღლების საქმეს, გულდასმით გაასწოროს წერითი ნამუშევრები, გაამახვილოს მოსწავლეთა ყურადღება დაშვებულ შეცდომებზე და გავლილი ლიტერატურული მასალის საფუძველზე უჩვენოს მათ სწორი წერისა და მეტყველების ნიმუშები. სისტემატურად აწარმოოს გაკვეთილებზე საშინაო დავალებათა შემოწმება, ზუსტად და ობიექტურად შეამოწმოს მოსწავლეთა ცოდნა და გაუწიოს საჭირო დახმარება სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს.

5. ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ამხ. ბადრიაშვილმა იზრუნოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, არ დაუშვას გაკვე-

თილზე მოუმზადებლად შესვლა, ამომწურავად და გასაგებად განუმარტოს მოსწავლეებს ისტორიული მოვლენები, გამოიმუშაოს მოსწავლეებში შესწავლილი მასალის სწორი ანალიზის უნარი და არ დაუშვას მასალის გაუაზრებლად გაზეპირება. ყველა გაკვეთილზე აწარმოოს გავლილი მასალის გამეორება და მოსწავლეთა ცოდნის შეფასება.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. კ. ქებაძემ პირადად შეამოწმოს ვარდისუბნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ისტორიისა და კონსტიტუციის სწავლების მდგომარეობა და დაუსახოს ამ საგნის მასწავლებელს ამხ. ბადრიაშვილს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

6. დაევალოს ყველა რაიონის მასობრივი სკოლების დირექტორებს მისცენ მათ სასკოლო შენობებში მოთავსებულ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს სასწავლო კაბინეტებისა და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების გამოყენების სრული შესაძლებლობა, ხოლო სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებმა სასწავლო მასალის დამუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება, განსაკუთრებით მოსწავლეთა მიერ გავლილი მასალის შეთვისებაზ ყურადღების გამახვილებით.

7. ვავალებ სახალხო განათლების საარაიონო განყოფილებათა გამგეებს უზრუნველჰყონ ამ ბრძანების განხილვა მათ რაიონში მოქმედ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების პედსაბჭოს სხდომებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა, გამომცემლობის და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

შეკვეთა № 1427 უე05245 ტირაჟი 2000